# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 309

„12“ ივლისი 2024 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებული წესის 18[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას გააფორმოს:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და შპს „თბილ ლაინს“ (ს/ნ 404392260) შორის დასადები შეთანხმების პროექტი „№001 და №004 ნებართვებთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე 2021 წლის 25 მაისს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით“ ამ განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად,

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და შპს „კაპიტალ გრუპს“ (ს/ნ 202353194) შორის დასადები შეთანხმების პროექტი „№002 ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე 2021 წლის 25 მაისს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით“ ამ განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად,

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და შპს „თბილ . ქარს“ (ს/ნ 404393241) შორის დასადები შეთანხმების პროექტი „№003 ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე 2021 წლის 25 მაისს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით“, ამ განკარგულების დანართი 3-ის შესაბამისად,

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და შპს „ფაბლიქ ქარს“ (ს/ნ 404392411) შორის დასადები შეთანხმების პროექტი „№005 ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე 2021 წლის 25 მაისს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით“, დამატებითი პირობების თაობაზე“, ამ განკარგულების დანართი 4-ის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი 1

# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

## „N001 და N004 ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე" დამატებითი პირობების თაობაზე" 2021 წლის 25 მაისს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით

ქ. თბილისი [თარიღი: ---]

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში - „შეთანხმება") დადებულია „N001 და N004 ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე" დამატებითი პირობების თაობაზე" მხარეებს შორის 2021 წლის 25 მაისს გაფორმებული შეთანხმების (შემდგომში - „სანებართვო შეთანხმება") ფარგლებში და მასთან დაკავშირებით, შემდეგ მხარეებს შორის:

(1) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში „ნებართვის გამცემი"), წარმოდგენილი სსიპ - „თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს" მიერ;

(2) სსიპ - „თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო", დაფუძნებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილების საფუძველზე (შემდგომში „სააგენტო");

(3) შპს „თბილ ლაინი", საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგიტრირებული კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი:404392260, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. N4 (შემდგომში „ნებართვის მფლობელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, ედუარდ აფრასიძის მიერ;

ნებართვის გამცემი, სააგენტო და ნებართვის მფლობელი - ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე".

### პრეამბულა

ვინაიდან, 2021 წლის 25 მაისს ნებართვის გამცემს, სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვის მფლობელს შორის გაფორმდა შეთანხმება ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე" დამატებითი პირობების თაობაზე. აღნიშნულის ფარგლებში სანებართვო პირობების დარღვევის გამო, სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ნებართვების მფლობელის მიმართ შედგენილ იქნა საჯარიმო ქვითრები - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და განხორციელდა შეთანხმებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვა ჯამში 638 550 (ექვსასოცდათვრამეტიათას ხუთასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. შედგენილი

საჯარიმო ქვითრების ნაწილი გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში, კერძოდ: ნებართვის მლობელის მიერ გასაჩივრებულია 140 საჯარიმო ქვითარი (სულ 40 800 ლარის ოდენობით);

ვინაიდან, ნებართვის მფლობელის მიერ 2023 წლის 30 იანვრის (მერიაში რეგისტრაციის № 22/01230302146-16) და 2023 წლის 14 ივლისის (მერიაში რეგისტრაციის №22/01231951666-16) წერილებით წარმოდგენილია შპს „დელოიტი და ტუში"-ს (ს/კ: 204422240) მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა მომსახურების ძირითადი საფასურის ხარჯების ელემენტების იდენტიფიკაციის და ინფლაციის მიზნობრივი და ფაქტობრივი მაჩვენებლის სხვაობით ინდექსაციის შესახებ;

ვინაიდან, 2024 წლის 18 ივნისს, ნებართვის გამცემს და სააგენტოს მიმართა ნებართვის მფლობელმა N24/06/18-05 წერილით (მერიაში რეგისტრაციის N10/01241701114-16) და აღნიშნა, რომ გამოთქვამს მზაობას და იღებს ვალდებულებას, რომ პირგასამტეხლოს 638 550 (ექვსასოცდათვრამეტიათას ხუთასორმოცდაათი) ლარის ანულირების სანაცვლოდ, უარი თქვას 2023 წლის 30 იანვრის და 2023 წლის 14 ივლისის წერილებით წარმოდგენილი დასკვნით გათვალისწინებული მომსახურების ძირითადი საფასურის, 2023 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 01 იანვრამდე პერიოდში, ზრდით მისაღები 2 018 666,42 (ორიმილიონ თვრამეტიათას ექვსასსამოცდაექვსი ლარი და ორმოცდაორი თეთრი) ლარის უფლებაზე. ასევე, ნებართვის მფლობელი მზად არის თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოიხმოს საჩივარი საქმეზე N4/2713-23, ხოლო დაკისრებული ჯარიმები გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [--------------------------------------------------------------------] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [----------------------------------------------------] განკარგულებების საფუძველზე, მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. წინამდებარე შეთანხმება დადებულია სანებართვო შეთანხმების ფარგლებში და მასთან დაკავშირებით, და წარმოადგენს სანებართვო შეთანხმებისა და სანებართვო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიმარტება მათთან ერთად. მხარეები თანხმდებიან, რომ სანებართვო შეთანხმებას, სანებართვო ხელშეკრულებასა და წინამდებარე შეთანხმებას შორის ნებისმიერი სახის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ამ შეთანხმების პირობებს.
2. ამ შეთანხმებაში (მათ შორის, პრეამბულაში) გამოყენებულ ტერმინებს, გარდა ამავე შეთანხმებით განმარტებული ტერმინებისა, აქვთ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებითა და სანებართვო შეთანხმებით მინიჭებული მნიშვნელობა.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ სანებართვო შეთანხმების 6.13.1 პუნქტის საფუძველზე და შპს „დელიოტი და ტუში"-ს (ს/კ: 204422240) აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, კილომეტრზე ფასის განაკვეთი, ნაცვლად სანებართვო ხელშეკრულებით დადგენილი 1.72 ლარისა (ერთი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი), 2024 წლის 1 იანვრიდან განისაზღვრება 1.80 ლარით (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი).

4. მხარეები თანხმდებიან, რომ შეიცვალოს სანებართვო ხელშეკრულების დანართი N2 - *„კილომეტრზე ფასის განაკვეთი, დათვლის პრინციპები და მეთოდოლოგია"* და ჩამოყალიბდეს ამ შეთანხმების დანართის სახით.

5. ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, სანებართვო შეთანხმების დადებიდან 2024 წლის 1 იანვრამდე სრულ პერიოდზე კილომეტრზე ფასის განაკვეთი რჩება უცვლელი და შეადგენს 1.72 ლარს (ერთი ლარი და სამოცდათორმეტი თეთრი). ამ შეთანხმებაზე ხელმოწერით, ნებართვის მფლობელი უარს ამბობს სანებართვო ხელშეკრულების 6.14.3 პუნქტით განსაზღვრულ უფლებაზე, რომელიც წარმოიშობა 6.13.1 პუნქტის შემთხვევაში მოითხოვოს სააგენტოს მიერ გადასახდელი ძირითადი საფასურის გადაანგარიშება, 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის იანვრამდე პერიოდზე, კილომეტრზე ფასის ახალი განაკვეთის გათვალისწინებით და დააკისროს სააგენტოს ხსენებული პერიოდისთვის დაანგარიშებული სხვაობის გადახდა.

6. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადასტურებს, რომ 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდში არ დამდგარა სანებართვო შეთანხმების 6.13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, ასევე, სანებართვო შეთანხმების ძალაში შესვლიდან ამ შეთანხმების ხელმოწერამდე პერიოდისათვის არ დამდგარა შეთანხმების 6.13.2-.6.13.3 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა და ჩამოთვლილი ან სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, სანებართვო შეთანხმების 6.14.3 პუნქტით განსაზღვრული კილომეტრზე ფასის ახალი განაკვეთის გაზრდის მოთხოვნის საფუძველი.

7. მხარეები თანხმდებიან, რომ არაუგვიანეს 2024 წლის 15 დეკემბრისა, ნებართვის გამცემი ნებართვის მფლობელს, სანებართვო შეთანხმებით გათვალისწინებული უნაღდო ანგარიშსწორების გზით, გადაუხდის შემდეგ თანხებს:

7.1. 2024 წლის 1 იანვრიდან ამ შეთანხმების ხელმოწერის თარიღის წინა საანგარიშო თვის პერიოდზე ამ შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაზრდით გამოწვეული მომსახურების საფასურის სხვაობას ჯამში *[მიეთითება შეთანხმების ხელმოწერის მომენტისთვის გადასახდელი სხვაობის ოდენობა]* ლარის ოდენობით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, შეთანხმების ხელმოწერის თარიღის საანგარიშო თვიდან შემდგომ პერიოდზე გადასახდელ მომსახურების საფასურს ნებართვის მფლობელი ნებართვის გამცემს გადაუხდის ყოველთვიურად (ყოველ მომდევნო თვეს), სანებართვო შეთანხმებით გათვალისწინებული წესითა და ვადაში;

7.2. ამ შეთანხმების ხელმოწერამდე პერიოდზე დაკავებულ მომსახურების საფასურს ჯამში 516,300 (ხუთასთექვსმეტი ათას სამასი) ლარის ოდენობით. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადატურებს, რომ აღნიშნული თანხის დაკავებასთან დაკავშირებით ნებართვის გამცემის მიმართ მას არ წარმოეშობა (უარს ამბობს) რაიმე მოთხოვნის ან/და პირგასამტეხლოს დაკისრების უფლება.

8. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ შეთანხმების მე-5 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნის უფლებაზე ნებართვის მფლობელის მიერ უარის თქმის სანაცვლოდ და ასევე, ამ შეთანხმების მე-9-მე-10 პუნქტებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით, ნებართვის გამცემი/სააგენტო უარს ამბობს

04.04.2023 წლის N16-01230941713, 05.04.2023 წლის N16-01230951106, 05.04.2023 წლის N16-01230951122, 12.06.2023 წლის N16-0123163797, 20.06.2023 წლის N16-01231713182, 23.06.2023 წლის N16-0123174900,29.06.2023 წლის N16-0123180741, 23.08.2023 წლის N16-0123235916, 04.09.2023 წლის N16-01232473683, 09.10.2023 წლის N16-01232823530 და N16-01232823016, 12.10.2023 წლის N16-01232851491, 16.10.2023 წლის N16-01232891813, 01.12.2023 წლის N16-01233351985, 08.01.2024 წლის N16-01240081042, 29.01.2024 წლის N16-01240293565 და N16-01240292518, 31.01.2024 წლის N16-01240313080 და N16-01240313102, 05.02.2024 წლის N16-01240361995, 15.02.2024 წლის N16-01240463156, 22.02.2024 წლის N16-0124053672, 01.03.2024 წლის N16-01240613738, 04.03.2024 წლის N16-0124064616, 06.03.2024 წლის N16-01240663092, 04.04.2024 წლის N16-01240951317 და N16-0124095568, 08.04.2024 წლის N16-01240994515 N16-01240994509 და N16-01240994446, 24.04.2024 წლის N16-01241151063, 26.04.2024 წლის N16-01241172158 და 13.05.2024 წლის N16-01241341209 წერილებით სანებართვო შეთანხმების 9.3.3-9.3.4 პუნქტების საფუძველზე ნებართვის მფლობელისთვის დაკისრებული და გადაუხდელი პირგასამტეხლოს (ჯამში 638 550 (ექვსასოცდათვრამეტიათას ხუთასორმოცდაათი) ლარის ოდენობით) მოთხოვნის უფლებაზე.

9. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადასტურებს, რომ იგი თანახმაა, ამ შეთანხმების მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირობის გათვალისწინებით, კანონით დადგენილ ვადაში გადაიხადოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით დარიცხული ჯარიმები ჯამში 40 800 (ორმოციათას რვაასი) ლარის (140 საჯარიმო ქვითარი) ოდენობით. ნებართვის მფლობელი წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით უარს ამბობს, მას არ აქვს და არ წარმოეშობა აღნიშნულიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის უფლება, მათ შორის, ნებისმიერი სახის ზიანის, ზარალისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

10. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადასტურებს, რომ წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, ამ შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, იგი მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს საჩივარზე (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე N4/2713-23) უარის თქმის საფუძვლით საქმისწარმოების შეწყვეტის შუამდგომლობით და მას არ აქვს უფლება, ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, რის შესახებ უნდა აცნობოს სააგენტოს.

11. იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელი არ შეასრულებს წინამდებარე შეთანხმების მე-10 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას ამავე პუნქტით დადგენილ ვადაში, შეთანხმება ავტომატურად შეწყდება და მის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები დაკარგავს იურიდიულ ძალას.

12. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ნებისმიერი მხარის უარი ნებისმიერ უფლებაზე შეეხება მხოლოდ და უშუალოდ იმ გარემოებებს, რომლებზეც იგი გაიცა, და არ შეუშლის ხელს მხარეს, რომელმაც განაცხადა უარი უფლებაზე, შემდგომ დაეყრდნოს იმ დებულებას, რომელზეც უარი განაცხადა.

13. წინამდებარე შეთანხმება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, გადაწყდება სანებართვო ხელშეკრულებით დადგენილი დავების მოგვარების წესის შესაბამისად.

14. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს სანებართვო შეთანხმების მოქმედების ვადით.
15. წინამდებარე შეთანხმება ხელმოწერილია ნოტარიული წესით. იგი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

ხელმოწერები:
[-]

*დანართი*

დანართი N2 - კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის პრინციპები და მეთოდოლოგია

აღნიშნულ დანართში მოცემულია ძირითად საფასურში შემავალი ხარჯების ოდენობები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშება. კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებული ხარჯების ოდენობები არის შეთანხმებული და არ ექვემდებარება ცვლილება/გადახედვას, გარდა

შეთანხმების 6.13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისა, რომლის დროსაც გამოყენებული იქნება შემდეგი პრინციპები:

1. შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13.1 პუნქტის დადგომის შემთხვევაში, განხორციელდება კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის მიზნებისათვის გამოყენებული ხარჯების გაზრდა იმ ოდენობის პროცენტული პუნქტით, რა ოდენობითაც კონკრეტული წლისთვის საქართველოში დაფიქსირებული ფაქტობრივი ინფლაციის მაჩვენებელი გადააჭარბებს ამ წლისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილ წლიურ ინფლაციის მაჩვენებელს.

2. შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13.2 პუნქტის დადგომის შემთხვევაში, კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებული იქნება სააგენტოს მიერ შეცვლილი ყოველწლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი და მომსახურების განხორციელებისათვის აუცილებელი *„ლოტზე მომუშავე ახალი ავტობუსების დადგენილი ახალი რაოდენობა“*, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო ხარჯების ოდენობების ცვლილება განხორციელდება მხოლოდ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

2.1. თუ ხარჯი/ხარჯის ნაწილი არის დენომინირებული უცხოურ ვალუტაში ის გამრავლდება (1 + აღნიშნული ვალუტის მოსალოდნელი ინფლაცია) და შემდგომში გამრავლდება ბოლო 12 თვის საშუალო კურსზე.

2.2. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ყველა ხარჯი/ხარჯის ნაწილი გამრავლდება (1 + მიზნობრივი ინფლაცია).

3. შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13.3 პუნქტის დადგომის შემთხვევაში, კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშების მიზნებისათვის, ნებართვის გამცემის ან სააგენტოს მიერ ნებართვის მფლობელისათვის რაიმე ახალი/დამატებითი სანებართვო პირობის/ვალდებულების დაწესების ან/და ნებართვის გამცემის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ აღნიშნული წარმოშობს ნებართვის მფლობელის მიერ ისეთი ახალი/დამატებითი ხარჯის გაწევის აუცილებლობას, რომელიც არ არის გათვალისწინებული დანართი N2-ით განსაზღვრულ კილომეტრზე ფასის განაკვეთის დადგენის მეთოდოლოგიაში, ასეთი ხარჯები უნდა აისახოს დანართი N2-ის შესაბამისი ხარჯის ან დამატებით კატეგორია(ებ)ში და ამის გათვალისწინებით განხორციელდეს კილომეტრზე ფასის განაკვეთის ან/და სხვა მონაცემების (საჭიროების შემთხვევაში) გადათვლა.

<u>ჯამური ძირითადი საფასურის გაანგარიშებისა და კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის მიზნებისათვის მეთოდოლოგიაში გამოყენებული დაშვებები და პრინციპები, რომელიც არ ექვემდებარება ცვლილებას, ზემოთ მოცემული პრინციპების დაცვით შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13 პუნქტის საფუძველზე კილომეტრზე ფასის განაკვეთის გადახედვამდე:</u>

- *„ყოველწლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი“* - ლოტი N1 და N4 -ისათვის დადგენილ მარშრუტებზე ავტობუსების მთლიანი დაგეგმილი გარბენი წლის განმავლობაში, რომელიც მოცემულია დანართ N1-ში და ტოლია 25,636,527 კმ-ის
- *„ლოტზე მომუშავე ახალი ავტობუსების დადგენილი რაოდენობა“*, რომელიც ამ შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის ლოტი N1 და N4 -ისათვის დადგენილია 342 ცალის ოდენობით;
- სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში ნაგულისხმებია 261 დღე, სამუშაო დღის ხანგრძლივობა შეადგენს 8 საათს.

• გამოყენებულია გაცვლითი კურსები: აშშ დოლარი/ლარი - 1 / 3.22; ევრო/ლარი - 1 / 3.8

<u>კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის მეთოდოლოგია</u>

1. შემავალი ხარჯების გაანგარიშების სტრუქტურა:

1.1. ნახევრადფიქსირებული ხარჯები:
* ცვლადი ხელფასის ხარჯი
* დეზინფექციის ხარჯი და დეზინფექციის ანაზღაურება
* კონდიციონერების ხარჯი
* M 2 კატეგორიის ავტობუსების დაზღვევის ხარჯი
* M 2 კატეგორიის ავტობუსების ქონების გადასახადი

1.2. <u>ცვლადი ხარჯები</u>
* M 2 კატეგორიის ავტობუსების შეკეთების/რემონტის ხარჯი

1.3. <u>ფიქსირებული ხარჯები</u>
* ფიქსირებული ხელფასების ხარჯი
* ინფრასტრუქტურის ცვეთის ხარჯი
* ქირის ხარჯი
* არსებული სესხების ხარჯი
* პროფესიული მომსახურების ხარჯი
* ტრანსპორტირების ხარჯი
* კომუნალური ხარჯი
* მერიის მოსაკრებელი
* სხვა ხარჯები
* ფას-ნამატი

## 2. ხარჯების დათვლის მეთოდოლოგია:

### *2.1. ნახევრადფიქსირებული ხარჯების დათვლა*

| დათვლის მეთოდოლოგია | ვალუტა - ლარი |
|---|---|
| **2.1.1. ცვლადი ხელფასის ხარჯი:**<br>M 2 კატეგორიის ავტობუსების მძღოლების ანაზღაურება:<br>1. მძღოლების რაოდენობა = ერთ ავტობუსზე დღეში გათვალისწინებული მძღოლების რაოდენობა (სმენის რაოდენობა) * აქტიური ავტობუსების რაოდენობა<br>**2.** მძღოლის წლიური ხელფასი = მძღოლის საათობრივი ანაზღაურება * სამუშაო დღე წელიწადში * სტანდარტული სამუშაო საათები დღეში (ერთი სმენა)<br>**3.** ჯამური ხელფასი = მძღოლების რაოდენობა * მძღოლის წლიური ანაზღაურება<br>**4.** საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | M 2 კატეგორიის ავტობუსების მძღოლების ანაზღაურება:<br>1. მძღოლების რაოდენობა = 2 * 342 = 684<br>2. მძღოლის წლიური ხელფასი = 11.12 * 261 * 8 = 23,225<br>3. ჯამური ხელფასი = 684 * 23,225 = 15,886,131<br>4. საპენსიო გადარიცხვები = 15,886,131 * 2% = 317,723<br><br>ჯამი: <u>16,203,854</u> |
| დისპეტჩერის ანაზღაურება:<br>1. დისპეტჩერების რაოდენობა = აქტიური ავტობუსების რაოდენობა / ავტობუსების რაოდენობა თითო დისპეტჩერზე<br>2. ჯამური ხელფასი = დისპეტჩერის საშუალო თვიური ხელფასი * თვეების რაოდენობა წელიწადში * დისპეტჩერების რაოდენობაზე<br>**3.** საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | დისპეტჩერის ანაზღაურება:<br>1. დისპეტჩერების რაოდენობა = 342 / 14 = 25<br>2. დისპეტჩერების წლიური ხელფასი = 1,123.98 * 12 * 25 = 337,195<br>3. საპენსიო გადარიცხვები = 337,195 * 2% = 6,744<br><br>ჯამი: <u>343,939</u> |
| ბუღალტრების ანაზღაურება:<br>1. ბუღალტრების რაოდენობა = ახალი თანამშრომლების რაოდენობა / თანამშრომლების რაოდენობა, რომელსაც ემსახურება ერთი ბუღალტერი<br>2. შემოწმების სპეციალისტის რაოდენობა = არსებული სადგურების | ბუღალტრების ანაზღაურება:<br>1. ბუღალტრების რაოდენობა = 926 / 295 = 3<br>2. შემოწმების სპეციალისტების რაოდენობა = 0<br>3. ჯამური ხელფასი = (1,550.57 * 3 + 1,279.77 * 0) * 12 = 55,821 |

| | |
|---|---|
| რაოდენობა * თანამშრომლების რაოდენობა ერთ სადგურზე<br>3. ჯამური ხელფასი = თანამშრომლების საშუალო თვიური ხელფასი * ბუღალტრების და სპეციალისტების რაოდენობა * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>4. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | 4. საპენსიო გადასახადი =55,821 * 2% = 1,116<br><br>ჯამი: <u>56,937</u><br><br><u>სულ ცვლადი ხელფასის ხარჯის ჯამი: 16,604,730</u> |
| 2.1.2. დეზინფექციის ხარჯები:<br>1. დეზინფექციის ხსნარის საჭირო რაოდენობა = აქტიური ავტობუსების რაოდენობა * ხსნარის გამოყენების დღიური ნორმა * დღეების რაოდენობა წელიწადში<br>2. კონცენტრატის საჭირო რაოდენობა = დეზინფექციის ხსნარის რაოდენობა / მისაღები ხსნარის რაოდენობა ერთ კონცენტრატისგან<br>3. მთლიანი ხარჯი = კონცენტრატის საჭირო რაოდენობა * კონცენტრატის ფასი<br>დეზინფექციის ანაზღაურება:<br>1. თანამშრომლების რაოდენობა = აქტიური ავტობუსების რაოდენობა / ავტობუსების რაოდენობა, რომელსაც ემსახურება ერთი თანამშრომელი<br>2. ჯამური ხელფასი = თანამშრომლების საშუალო თვიური ხელფასი * თვეების რაოდენობა წელიწადში * თანამშრომლების რაოდენობა<br>3. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | დეზინფექციის ხარჯები:<br>1. დეზინფექციის ხსნარის საჭირო რაოდენობა = 342 * 0.25 * 365 = 31,208<br>2. კონცენტრატის საჭირო რაოდენობა = 31,208/ 250 = 125<br>3. ჯამური ხარჯი = 125 * 106.65 = 13,313<br><br>ჯამი: <u>13,313</u><br><br>დეზინფექციის ანაზღაურება:<br>1. დასაქმებულების რაოდენობა = 342/ 100 = 3<br>2. ჯამური ხელფასი = 1,123.98 * 12 * 3 = 40,464<br>3. საპენსიო გადასახადი = 40,464 * 2% = 809<br>ჯამი: <u>41,273</u><br><br><u>სულ დეზინფექციის ხარჯის ჯამი: 54,586</u> |

| | |
|---|---|
| 2.1.3. კონდიციონერების ხარჯები:<br>1. საშუალო წლიური ხარჯი კონდიციონერის შეკეთებისთვის = მთლიანი ხარჯი პერიოდისთვის / ძველი ავტობუსების საშუალო რაოდენობა პერიოდისთვის<br>2. მთლიანი ხარჯი = ავტობუსების სრული რაოდენობა * საშუალო წლიური ხარჯი კონდიციონერის შეკეთების | კონდიციონერების ხარჯები:<br>1. საშუალო წლიური ხარჯი კონდიციონერის შეკეთებისთვის = 828.65<br>2. ჯამური ხარჯი = 448 * 828.65 = 371,237<br><br>ჯამი: <u>371,237</u> |
| 2.1.4. M 2 კატეგორიის ავტობუსების დაზღვევის ღირებულება:<br>1. დაზღვევის ღირებულება = ავტობუსების სრული რაოდენობა * დაზღვევის ღირებულება ერთ ავტობუსზე<br>*შენიშვნა:* დაზღვევის ფასი მოცემულია აშშ დოლარში და გადაყვანილია ლარში კურსით აშშ დოლარი/ლარი - 1 / 3.22 | M 2 კატეგორიის ავტობუსების დაზღვევის ღირებულება:<br>1. დაზღვევის ღირებულება = 448* 3,574 = 1,601,152<br><br>ჯამი: <u>1,601,152</u> |
| 2.1.5. M 2 კატეგორიის ავტობუსების ქონების გადასახადი:<br>1. გადასახადი = (გაწეული კაპიტალური დანახარჯი - პერიოდის ბოლოსთვის აკუმულირებული ცვეთა) * ქონების გადასახადი<br>*შენიშვნა:* კაპიტალური დანახარჯი არის ახალი ავტობუსების შესყიდვებისთვის გაწეული ხარჯი. ღირებულება 1 ავტობუსზე მოცემულია დოლარში | M 2 კატეგორიის ავტობუსების ქონების გადასახადი:<br>1. გადასახადი = (28,980,000 – 2,898,000) * 1% = 260,820<br><br>ჯამი: <u>260,820</u> |

<u>წლიური ნახევრადფიქსირებული ხარჯების მთლიანი ჯამი: 18,892,524</u>
<u>ლოტზე მომუშავე ახალი ავტობუსების დადგენილი რაოდენობა: 342</u>
<u>წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 25,636,527</u>
<u>წლიური ნახევრადფიქსირებული ხარჯი 1 ავტობუსზე: 55,241.30</u>
<u>ნახევრადფიქსირებული განაკვეთი 1 დაგეგმილ კმ-ზე: 0.74</u>

2.2. ცვლადი ხარჯების დათვლა

| | |
|---|---|
| დათვლის მეთოდოლოგია | ვალუტა- ლარი |

| | |
|---|---|
| 2.2.1. M 2 კატეგორიის ავტობუსების გეგმიური შეკეთების ღირებულება:<br>1. მთლიანი ღირებულება = მთლიანი კილომეტრაჟი * გეგმიური შეკეთების ღირებულება კილომეტრზე | M 2 კატეგორიის ავტობუსების გეგმიური შეკეთების ღირებულება:<br>1. მთლიანი ღირებულება = 25,636,527 * 0.20 = 5,194,747<br><br>ჯამი: 5,194,747 |

წლიური ცვლადი ხარჯების მთლიანი ჯამი: 5,194,747<br>
წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 25,636,527<br>
ცვლადი განაკვეთი 1 კმ-ზე: 0.20

2.3. ფიქსირებული ხარჯების დათვლა

| დათვლის მეთოდოლოგია | ვალუტა ლარი |
|---|---|
| 2.3.1. ფიქსირებული ხელფასის ანაზღაურება:<br>1. ჯამური ხელფასი = პერსონალის ხელფასები<br>2. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | ფიქსირებული ხელფასის ანაზღაურება:<br>1. ჯამური ფიქსირებული ანაზღაურება = 3,618,689<br>2. საპენსიო გადასახადი = 3,618,689 * 2 % = 72,374<br><br>ჯამი: 3,691,063 |
| 2.3.2. ქირის ღირებულება:<br>1. არსებული ქირის ღირებულება = არსებული ქირის წლიური გადასახადები<br>ახალი ქირის ღირებულება:<br>1. საჭირო დამატებითი ქირა = არსებული ქირის ხარჯი / არსებული თანამშრომლების რაოდენობა<br>2. ახალი ქირის ღირებულება = ახალი ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა * საჭირო დამატებითი ქირა<br>ქირის ხარჯი ახალი ავტობუსებისთვის:<br>1. ქირის ღირებულება = საჭირო ქირის ხარჯი ახალ ავტობუსზე<br>*შენიშვნა:* გარაჟის თვიური ხარჯი 5,000 ა.შ.შ დოლარი, აღნიშნული ხარჯის | არსებული ქირის ღირებულება:<br>1. არსებული ქირის ღირებულება = 349,613<br><br>ახალი ქირის ღირებულება:<br>1. საჭირო დამატებთი ქირა = 349,613 / 130 = 2,689<br>2. ახალი ქირის ღირებულება = 91 * 2,689 = 244,729<br><br>ქირის ხარჯი ახალი ავტობუსებისთვის:<br>1. ქირის ღირებულება = 92,307<br><br>ჯამი: 686,649 |

| | |
|---|---|
| წლიური ღირებულება არის 60,000 ა.შ.შ. დოლარი. | |
| 2.3.3. არსებული სესხების ხარჯი:<br>1. სესხების ხარჯი = არსებული სესხების ჯამური ხარჯი | არსებული სესხების ხარჯი:<br>1. სესხების ხარჯი = 10,496,395<br><br>ჯამი: 10,496,395 |
| 2.3.4. პროფესიული მომსახურების ხარჯები:<br>იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია:<br>1. კონსულტაციის მთლიანი ხარჯი = კონსულტაციის თვიური გეგმიური ხარჯი * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>Azri-ს სერვისის საფასური:<br>2. სერვისის მთლიანი ხარჯი = ჯამური ავტობუსების რაოდენობა * სერვისის თვიური ღირებულება ავტობუსზე * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>*შენიშვნა:* კომპანია Azri ახორციელებს ავტობუსების რაოდენობის მონიტორინგს. სერვისის თვიური ღირებულება თითო ავტობუსზე შეადგენს 10.15 ა.შ.შ დოლარს.<br><br>სხვა სერვისების ღირებულება:<br>3. სერვისის მთლიანი ხარჯი = ხარჯის ისტორიული მონაცემები | იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია:<br>1. კონსულტაციის მთლიანი ხარჯი = 13,868 * 12 = 166,422<br><br>Azri-ს სერვისის საფასური:<br>1. სერვისის მთლიანი ხარჯი = 342 * 34.77 * 12 = 142,684<br><br>სხვა სერვისების ღირებულება:<br>2. სერვისის მთლიანი ხარჯი = 175,450<br><br>ჯამი: 484,557 |
| 2.3.5. კომუნალური მომსახურების ხარჯი:<br>1. კომუნალური ხარჯი თანამშრომელზე = ისტორიული ხარჯი<br>2. კომუნალური ხარჯი = კომუნალური ხარჯი თანამშრომელზე * (არსებული თანამშრომლების რაოდენობა + ახალი ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა) | კომუნალური მომსახურების ხარჯი:<br>1. კომუნალური ხარჯი 1 თანამშრომელზე = 432.99<br>2. ჯამური კომუნალური ხარჯი= 432.99 * (130 + 93) = 96,557<br><br>ჯამი: 96,557 |

| | |
|---|---|
| | |
| 2.3.6. ტრანსპორტირების ხარჯი:<br>1. ტრანსპორტირების ხარჯი თანამშრომელზე = ისტორიული ხარჯი<br>2. ტრანსპორტირების ხარჯი = ტრანსპორტირების ხარჯი თანამშრომელზე * (არსებული თანამშრომლების რაოდენობა + ახალი ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა) | ტრანსპორტირების ხარჯი:<br>1. ტრანსპორტირების ხარჯი თანამშრომელზე = 588<br>2. ტრანსპორტირების ხარჯი = 588 * (130 + 93) = 131,124<br>ჯამი: <u>131,124</u> |
| 2.3.7. მერიის მოსაკრებელი:<br>1. მოსაკრებელი = კომპანიის ფლობაში არსებული ავტობუსები * თვიური მოსაკრებელი * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>*შენიშვნა:* თბილისის მერიის თვიური მოსაკრებელი შეადგენს 15 ლარს. | მერიის მოსაკრებელი:<br>1. მოსაკრებელი = 448 * 15 * 12 = 80,640<br>ჯამი: <u>80,640</u> |
| 2.3.8. სხვა ფიქსირებული ხარჯები:<br>1. სხვა ხარჯები = ისტორიული ხარჯი | სხვა ფიქსირებული ხარჯები:<br>1. სხვა ხარჯები = 253,909<br>ჯამი: <u>253,909</u> |
| 2.3.9. ფას-ნამატი:<br>1. ფას-ნამატი = პერიოდის მთლიანი ხარჯი * მარკ-აპი | ფას-ნამატი:<br>1. ფას-ნამატი = 40,008,165 * 15% = 6,001,225<br>ჯამი: <u>6,001,225</u> |

<u>**წლიური ფიქსირებული ხარჯის მთლიანი ჯამი: 21,922,118**</u>
<u>**წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 25,636,527**</u>
<u>**ფიქსირებული განაკვეთი 1 დაგეგმილ კმ-ზე: 0.86**</u>

სულ ძირითადი ხარჯი (ცვლადი, ნახევრადფიქსირებული და ფიქსირებული): 46,009,389
წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 25.636.527
ძირითადი საფასური/განაკვეთი 1 კმ-ზე: 1.80

დანართი 2

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

„N002 ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე“ 2021 წლის 25 მაისს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით

ქ. თბილისი [თარიღი: ---]

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში - „შეთანხმება“) დადებულია „N002 ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე“ მხარეებს შორის 2021 წლის 25 მაისს გაფორმებული შეთანხმების (შემდგომში - „სანებართვო შეთანხმება“) ფარგლებში და მასთან დაკავშირებით, შემდეგ მხარეებს შორის:

(1) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში „ნებართვის გამცემი“), წარმოდგენილი სსიპ - „თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ მიერ;

(2) სსიპ - „თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“, დაფუძნებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილების საფუძველზე (შემდგომში „სააგენტო“);

(3) შპს „კაპიტალ გრუპ“, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგიტრირებული კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი: 202353194, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. N4 (შემდგომში „ნებართვის მფლობელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, მიხეილ ნადირაშვილის მიერ;

*ნებართვის გამცემი, სააგენტო და ნებართვის მფლობელი - ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე“.*

პრეამბულა

ვინაიდან, 2021 წლის 25 მაისს ნებართვის გამცემს, სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვის მფლობელს შორის გაფორმდა შეთანხმება ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე. აღნიშნულის ფარგლებში სანებართვო პირობების დარღვევის გამო, სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ნებართვების მფლობელის მიმართ შედგენილ იქნა საჯარიმო ქვითრები - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და განხორციელდა შეთანხმებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვა ჯამში 253 900 (ორასორმოცდაცამეტიათას ცხრაასი) ლარის ოდენობით. შედგენილი საჯარიმო ქვითრების ნაწილი გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში, კერძოდ:

ნებართვის მლობელის მიერ გასაჩივრებულია 59 საჯარიმო ქვითარი (სულ 17 700 ლარის ოდენობით);

ვინაიდან, ნებართვის მფლობელის მიერ 2023 წლის 30 იანვრის (მერიაში რეგისტრაციის № 22/01230302146-16) და 2023 წლის 14 ივლისის (მერიაში რეგისტრაციის №22/01231951666-16) წერილებით წარმოდგენილია შპს „დელიოტი და ტუში"-ს (ს/კ: 204422240) მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა მომსახურების ძირითადი საფასურის ხარჯების ელემენტების იდენტიფიკაციის და ინფლაციის მიზნობრივი და ფაქტობრივი მაჩვენებლის სხვაობით ინდექსაციის შესახებ;

ვინაიდან, 2024 წლის 18 ივნისს, ნებართვის გამცემს და სააგენტოს მიმართა ნებართვის მფლობელმა N24/06/18-01 წერილით (მერიაში რეგისტრაციის N10/01241701164-16) და აღნიშნა, რომ გამოთქვამს მზაობას და იღებს ვალდებულებას, რომ პირგასამტეხლოს 253 900 (ორასორმოცდაცამეტიათას ცხრაასი) ლარის ანულირების სანაცვლოდ, უარი თქვას 2023 წლის 30 იანვრის და 2023 წლის 14 ივლისის წერილებით წარმოდგენილი დასკვნით გათვალისწინებული მომსახურების ძირითადი საფასურის, 2023 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 01 იანვრამდე პერიოდში, ზრდით მისაღები 734 822,05 (შვიდასოცდათოთხმეტიათას რვაასოცდაორი ლარი და ხუთი თეთრი) ლარის უფლებაზე. ასევე, ნებართვის მფლობელი მზად არის თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოიხმოს საჩივარი საქმეზე N4/2713-23, ხოლო დაკისრებული ჯარიმები გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [------------------------------------------------------------------] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [---------------------------------------------------] განკარგულებების საფუძველზე, მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. წინამდებარე შეთანხმება დადებულია სანებართვო შეთანხმების ფარგლებში და მასთან დაკავშირებით, და წარმოადგენს სანებართვო შეთანხმებისა და სანებართვო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიმარტება მათთან ერთად. მხარეები თანხმდებიან, რომ სანებართვო შეთანხმებას, სანებართვო ხელშეკრულებასა და წინამდებარე შეთანხმებას შორის ნებისმიერი სახის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ამ შეთანხმების პირობებს.
2. ამ შეთანხმებაში (მათ შორის, პრეამბულაში) გამოყენებულ ტერმინებს, გარდა ამავე შეთანხმებით განმარტებული ტერმინებისა, აქვთ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებითა და სანებართვო შეთანხმებით მინიჭებული მნიშვნელობა.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ სანებართვო შეთანხმების 6.13.1 პუნქტის საფუძველზე და შპს „დელოიტი და ტუში"-ს (ს/კ: 204422240) აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, კილომეტრზე ფასის განაკვეთი, ნაცვლად სანებართვო ხელშეკრულებით დადგენილი 1.77 ლარისა (ერთი ლარი და სამოცდაჩვიდმეტი თეთრი), 2024 წლის 1 იანვრიდან განისაზღვრება 1.85 ლარით (ერთი ლარი და ოთხმოცდახუთი თეთრი).

4. მხარეები თანხმდებიან, რომ შეიცვალოს სანებართვო ხელშეკრულების დანართი N2 - *„კილომეტრზე ფასის განაკვეთი, დათვლის პრინციპები და მეთოდოლოგია"* და ჩამოყალიბდეს ამ შეთანხმების დანართის სახით.

5. ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, სანებართვო შეთანხმების დადებიდან 2024 წლის 1 იანვრამდე სრულ პერიოდზე კილომეტრზე ფასის განაკვეთი რჩება უცვლელი და შეადგენს 1.77 ლარს (ერთი ლარი და სამოცდაჩვიდმეტი თეთრი). ამ შეთანხმებაზე ხელმოწერით, ნებართვის მფლობელი უარს ამბობს სანებართვო ხელშეკრულების 6.14.3 პუნქტით განსაზღვრულ უფლებაზე, რომელიც წარმოიშობა 6.13.1 პუნქტის შემთხვევაში მოითხოვოს სააგენტოს მიერ გადასახდელი ძირითადი საფასურის გადაანგარიშება, 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის იანვრამდე პერიოდზე, კილომეტრზე ფასის ახალი განაკვეთის გათვალისწინებით და დააკისროს სააგენტოს ხსენებული პერიოდისთვის დაანგარიშებული სხვაობის გადახდა.

6. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადასტურებს, რომ 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდში არ დამდგარა სანებართვო შეთანხმების 6.13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, ასევე, სანებართვო შეთანხმების ძალაში შესვლიდან ამ შეთანხმების ხელმოწერამდე პერიოდისათვის არ დამდგარა შეთანხმების 6.13.2-.6.13.3 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა და ჩამოთვლილი ან სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, სანებართვო შეთანხმების 6.14.3 პუნქტით განსაზღვრული კილომეტრზე ფასის ახალი განაკვეთის გაზრდის მოთხოვნის საფუძველი.

7. მხარეები თანხმდებიან, რომ არაუგვიანეს 2024 წლის 15 დეკემბრისა, ნებართვის გამცემი ნებართვის მფლობელს, სანებართვო შეთანხმებით გათვალისწინებული უნაღდო ანგარიშსწორების გზით, გადაუხდის შემდეგ თანხებს:

7.1. 2024 წლის 1 იანვრიდან ამ შეთანხმების ხელმოწერის თარიღის წინა საანგარიშო თვის პერიოდზე ამ შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაზრდით გამოწვეული მომსახურების საფასურის სხვაობას ჯამში *[მიეთითება შეთანხმების ხელმოწერის მომენტისთვის გადასახდელი სხვაობის ოდენობა]* ლარის ოდენობით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, შეთანხმების ხელმოწერის თარიღის საანგარიშო თვიდან შემდგომ პერიოდზე გადასახდელ მომსახურების საფასურს ნებართვის მფლობელი ნებართვის გამცემს გადაუხდის ყოველთვიურად (ყოველ მომდევნო თვეს), სანებართვო შეთანხმებით გათვალისწინებული წესითა და ვადაში;

7.2. ამ შეთანხმების ხელმოწერამდე პერიოდზე დაკავებულ მომსახურების საფასურს ჯამში 212 150 (ორას თორმეტი ათას ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადატურებს, რომ აღნიშნული თანხის დაკავებასთან დაკავშირებით ნებართვის გამცემის მიმართ მას არ წარმოეშობა (უარს ამბობს) რაიმე მოთხოვნის ან/და პირგასამტეხლოს დაკისრების უფლება.

8. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ შეთანხმების მე-5 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნის უფლებაზე ნებართვის მფლობელის მიერ უარის თქმის სანაცვლოდ და ასევე, ამ შეთანხმების მე-9-მე-10 პუნქტებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით, ნებართვის გამცემი/სააგენტო უარს ამბობს

05.04.2023 წლის N16-01230951107, 05.04.2023 წლის N16-01230951121, 12.06.2023 წლის N16-0123163962, 23.06.2023 წლის N16-0123174895, 29.06.2023 წლის N16-0123180734, 23.08.2023 წლის N16-0123235909, 04.09.2023 წლის N16-01232473680, 09.10.2023 წლის N16-01232823533, 12.10.2023 წლის N16-01232851498, 16.10.2023 წლის N16-01232891801, 01.12.2023 წლის N16-01233351991, 08.01.2024 წლის N16-01240082537, 29.01.2024 წლის N16-01240291967, 31.01.2024 წლის N16-01240313096, 31.01.2024 წლის N16-01240313069, 31.01.2024 წლის N 16-01240311831, 05.02.2024 წლის N16-01240361977, 15.02.2024 წლის N16-01240463148, 22.02.2024 წლის N16-0124053668, 01.03.2024 წლის N16-01240613740, 04.03.2024 წლის N16-0124064613, 06.03.2024 წლის N16-01240663100, 04.04.2024 წლის N16-01240951308, 04.04.2024 წლის N16-01240951293, 08.04.2024 წლის N16-01240994466, 08.04.2024 წლის N16-01240994453, 08.04.2024 წლის N16-01240994532, 24.04.2024 წლის N16-01241142990, 26.04.2024 წლის N16-01241172165, 13.05.2024 წლის N16-01241341224 წერილებით სანებართვო შეთანხმების 9.3.3-9.3.4 პუნქტების საფუძველზე ნებართვის მფლობელისთვის დაკისრებული და გადაუხდელი პირგასამტეხლოს (ჯამში 253 900 (ორასორმოცდაცამეტიათას ცხრაასი) ლარის ოდენობით) მოთხოვნის უფლებაზე.

9. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადასტურებს, რომ იგი თანახმაა, ამ შეთანხმების მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირობის გათვალისწინებით, კანონით დადგენილ ვადაში გადაიხადოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით დარიცხული ჯარიმები ჯამში 17 700 (ჩვიდმეტიათას შვიდასი) ლარის (59 საჯარიმო ქვითარი) ოდენობით. ნებართვის მფლობელი წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით უარს ამბობს, მას არ აქვს და არ წარმოეშობა აღნიშნულიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის უფლება, მათ შორის, ნებისმიერი სახის ზიანის, ზარალისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

10. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადასტურებს, რომ წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, ამ შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, იგი მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს საჩივარზე (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე N4/2713-23) უარის თქმის საფუძვლით საქმისწარმოების შეწყვეტის შუამდგომლობით და მას არ აქვს უფლება, ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, რის შესახებ უნდა აცნობოს სააგენტოს.

11. იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელი არ შეასრულებს წინამდებარე შეთანხმების მე-10 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას ამავე პუნქტით დადგენილ ვადაში, შეთანხმება ავტომატურად შეწყდება და მის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები დაკარგავს იურიდიულ ძალას.

12. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ნებისმიერი მხარის უარი ნებისმიერ უფლებაზე შეეხება მხოლოდ და უშუალოდ იმ გარემოებებს, რომლებზეც იგი გაიცა, და არ შეუშლის ხელს მხარეს, რომელმაც განაცხადა უარი უფლებაზე, შემდგომ დაეყრდნოს იმ დებულებას, რომელზეც უარი განაცხადა.

13. წინამდებარე შეთანხმება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, გადაწყდება სანებართვო ხელშეკრულებით დადგენილი დავების მოგვარების წესის შესაბამისად.

14. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს სანებართვო შეთანხმების მოქმედების ვადით.

15. წინამდებარე შეთანხმება ხელმოწერილია ნოტარიული წესით. იგი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

ხელმოწერები:
[-]

*დანართი*

# დანართი N2 - კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის პრინციპები და მეთოდოლოგია

აღნიშნულ დანართში მოცემულია ძირითად საფასურში შემავალი ხარჯების ოდენობები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშება. კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებული ხარჯების ოდენობები არის შეთანხმებული და არ ექვემდებარება ცვლილება/გადახედვას, გარდა შეთანხმების 6.13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისა, რომლის დროსაც გამოყენებული იქნება შემდეგი პრინციპები:

1. შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13.1 პუნქტის დადგომის შემთხვევაში, განხორციელდება კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის მიზნებისათვის გამოყენებული ხარჯების გაზრდა იმ ოდენობის პროცენტული პუნქტით, რა ოდენობითაც კონკრეტული წლისთვის საქართველოში დაფიქსირებული ფაქტობრივი ინფლაციის მაჩვენებელი გადააჭარბებს ამ წლისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილ წლიურ ინფლაციის მაჩვენებელს.

2. შეთანხმებით გათვალისიწნებული 6.13.2 პუნქტის დადგომის შემთხვევაში, კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებული იქნება სააგენტოს მიერ შეცვლილი ყოველწლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი და მომსახურების განხორციელებისათვის აუცილებელი *„ლოტზე მომუშავე ახალი ავტობუსების დადგენილი ახალი რაოდენობა“*, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო ხარჯების ოდენობების ცვლილება განხორციელდება მხოლოდ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

2.1. თუ ხარჯი/ხარჯის ნაწილი არის დენომინირებული უცხოურ ვალუტაში ის გამრავლდება (1 + აღნიშნული ვალუტის მოსალოდნელი ინფლაცია) და შემდგომში გამრავლდება ბოლო 12 თვის საშუალო კურსზე.

2.2. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ყველა ხარჯი/ხარჯის ნაწილი გამრავლდება (1 + მიზნობრივი ინფლაცია).

3. შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13.3 პუნქტის დადგომის შემთხვევაში, კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშების მიზნებისათვის, ნებართვის გამცემის ან სააგენტოს მიერ ნებართვის მფლობელისათვის რაიმე ახალი/დამატებითი სანებართვო პირობის/ვალდებულების დაწესების ან/და ნებართვის გამცემის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ აღნიშნული წარმოშობს ნებართვის მფლობელის მიერ ისეთი ახალი/დამატებითი ხარჯის გაწევის აუცილებლობას, რომელიც არ არის გათვალისწინებული დანართი N2-ით განსაზღვრულ კილომეტრზე ფასის განაკვეთის დადგენის მეთოდოლოგიაში, ასეთი ხარჯები უნდა აისახოს დანართი N2-ის შესაბამისი ხარჯის ან დამატებით კატეგორია(ებ)ში და ამის გათვალისწინებით განხორციელდეს კილომეტრზე ფასის განაკვეთის ან/და სხვა მონაცემების (საჭიროების შემთხვევაში) გადათვლა.

<u>ჯამური ძირითადი საფასურის გაანგარიშებისა და კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის მიზნებისათვის მეთოდოლოგიაში გამოყენებული დაშვებები და პრინციპები, რომელიც არ ექვემდებარება ცვლილებას, ზემოთ მოცემული პრინციპების დაცვით შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13 პუნქტის საფუძველზე კილომეტრზე ფასის განაკვეთის გადახედვამდე:</u>

- *„ყოველწლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი“* - ლოტი N2 -ისათვის დადგენილ მარშრუტებზე ავტობუსების მთლიანი დაგეგმილი გარბენი წლის განმავლობაში, რომელიც მოცემულია დანართ N1-ში და ტოლია 9,188,547 კმ-ის
- *„ლოტზე მომუშავე ახალი ავტობუსების დადგენილი რაოდენობა“,* რომელიც ამ შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის ლოტი N2 -ისათვის დადგენილია 131 ცალის ოდენობით;
- სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში ნაგულისხმებია 261 დღე, სამუშაო დღის ხანგრძლივობა შეადგენს 8 საათს.
- გამოყენებულია გაცვლითი კურსები: აშშ დოლარი/ლარი - 1 / 3.22; ევრო/ლარი - 1 / 3.8

## კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის მეთოდოლოგია

1. შემავალი ხარჯების გაანგარიშების სტრუქტურა:

1.1. ნახევრადფიქსირებული ხარჯები:

* ცვლადი ხელფასის ხარჯი
* დეზინფექციის ხარჯი და დეზინფექციის ანაზღაურება
* კონდიციონერების ხარჯი
* M 2 კატეგორიის ავტობუსების დაზღვევის ხარჯი
* M 2 კატეგორიის ავტობუსების ქონების გადასახადი

1.2. <u>ცვლადი ხარჯები</u>

* M 2 კატეგორიის ავტობუსების შეკეთების/რემონტის ხარჯი

1.3. <u>ფიქსირებული ხარჯები</u>

* ფიქსირებული ხელფასების ხარჯი
* ინფრასტრუქტურის ცვეთის ხარჯი
* ქირის ხარჯი
* არსებული სესხების ხარჯი
* პროფესიული მომსახურების ხარჯი
* ტრანსპორტირების ხარჯი
* კომუნალური ხარჯი
* მერიის მოსაკრებელი
* სხვა ხარჯები
* ფას-ნამატი

2. **ხარჯების დათვლის მეთოდოლოგია:**

*2.1. ნახევრადცვლად/ფიქსირებული ხარჯების დათვლა*

| დათვლის მეთოდოლოგია | ვალუტა - ლარი |
|---|---|
| 2.1.1. ცვლადი ხელფასის ხარჯი:<br>M 2 კატეგორიის ავტობუსების მძღოლების ანაზღაურება:<br>1. მძღოლების რაოდენობა = ერთ ავტობუსზე დღეში გათვალისწინებული მძღოლების რაოდენობა (სმენის რაოდენობა) * აქტიური ავტობუსების რაოდენობა<br>2. მძღოლის წლიური ხელფასი = მძღოლის საათობრივი ანაზღაურება * სამუშაო დღე წელიწადში * სტანდარტული სამუშაო საათები დღეში (ერთი სმენა)<br>3. ჯამური ხელფასი = მძღოლების რაოდენობა * მძღოლის წლიური ანაზღაურება<br>4. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | M 2 კატეგორიის ავტობუსების მძღოლების ანაზღაურება:<br>1. მძღოლების რაოდენობა = 2 * 131 = 262<br>2. მძღოლის წლიური ხელფასი = 11.12 * 261 * 8 = 23,225<br>3. ჯამური ხელფასი = 262 * 23,225 = 6,085,039<br>4. საპენსიო გადარიცხვები = 6,085,039 * 2% = 121,700<br><br>ჯამი: 6,206,739 |
| დისპეტჩერის ანაზღაურება:<br>1. დისპეტჩერების რაოდენობა = აქტიური ავტობუსების რაოდენობა / ავტობუსების რაოდენობა თითო დისპეტჩერზე*<br>2. ჯამური ხელფასი = დისპეტჩერის საშუალო თვიური ხელფასი * თვეების რაოდენობა წელიწადში * დისპეტჩერების რაოდენობაზე<br>3. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | დისპეტჩერის ანაზღაურება:<br>1. დისპეტჩერების რაოდენობა = 131 / 14 = 9<br>2. ჯამური ხელფასი = 1,123.98 * 12 * 9= 121,390<br>3. საპენსიო გადარიცხვები = 121,390* 2% = 2,428<br><br>ჯამი: <u>123,818</u> |
| ბუღალტრების ანაზღაურება:<br>1. ბუღალტრების რაოდენობა = ახალი თანამშრომლების რაოდენობა / თანამშრომლების რაოდენობა, რომელსაც ემსახურება ერთი ბუღალტერი<br>2. შემოწმების სპეციალისტის რაოდენობა = არსებული სადგურების | ბუღალტრების ანაზღაურება:<br>1. ბუღალტრების რაოდენობა = 332 / 295 = 1<br>2. შემოწმების სპეციალისტის რაოდენობა = 0<br>3. ჯამური ხელფასი = (1 * 1,550.57 + 0 * 1,279.77) * 12 = 18,607<br>4. საპენსიო გადარიცხვები = 18,607* 2% = 372 |

| | |
|---|---|
| რაოდენობა * თანამშრომლების რაოდენობა ერთ სადგურზე<br>3. ჯამური ხელფასი = თანამშრომლების საშუალო თვიური ხელფასი * ბუღალტრების და სპეციალისტების რაოდენობა * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>4. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | ჯამი: 18,979<br>სულ ცვლადი ხელფასის ხარჯის ჯამი: 6,349,536 |
| 2.1.2. დეზინფექციის ხარჯები:<br>1. დეზინფექციის ხსნარის საჭირო რაოდენობა = აქტიური ავტობუსების რაოდენობა * ხსნარის გამოყენების დღიური ნორმა * დღეების რაოდენობა წელიწადში<br>2. კონცენტრატის საჭირო რაოდენობა = დეზინფექციის ხსნარის რაოდენობა / მისაღები ხსნარის რაოდენობა ერთ კონცენტრატისგან<br>3. მთლიანი ხარჯი = კონცენტრატის საჭირო რაოდენობა * კონცენტრატის ფასი<br>დეზინფექციის ანაზღაურება:<br>1. თანამშრომლების რაოდენობა = აქტიური ავტობუსების რაოდენობა / ავტობუსების რაოდენობა, რომელსაც ემსახურება ერთი თანამშრომელი<br>2. ჯამური ხელფასი = თანამშრომლების საშუალო თვიური ხელფასი * თვეების რაოდენობა წელიწადში * თანამშრომლების რაოდენობა<br>3. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | დეზინფექციის ხარჯები:<br>1. დეზინფექციის ხსნარის საჭირო რაოდენობა = 131 * 0.25 * 365 = 11,954<br>2. კონცენტრატის საჭირო რაოდენობა = 11,954 / 250 = 48<br>3. მთლიანი ხარჯი = 48 * 106.65 = 5,099<br><br>ჯამი: 5,099<br><br>დეზინფექციის ანაზღაურება:<br>1. თანამშრომლების რაოდენობა = 131 / 100 = 1<br>2. ჯამური ხელფასი = 1,123.98 * 12 * 1 = 13,488<br>3. საპენსიო გადარიცხვები = 13,488* 2% = 270<br><br>ჯამი: 13,758<br>სულ დეზინფექციის ხარჯის ჯამი: 18,857 |
| 2.1.3. კონდიციონერების ხარჯები:<br>1. საშუალო წლიური ხარჯი კონდიციონერის შეკეთებისთვის = მთლიანი ხარჯი პერიოდისთვის / ძველი ავტობუსების საშუალო რაოდენობა პერიოდისთვის<br>2. მთლიანი ხარჯი = ავტობუსების სრული რაოდენობა * საშუალო | კონდიციონერების ხარჯები:<br>1. საშუალო წლიური ხარჯი კონდიციონერის შეკეთებისთვის = 828.65<br>2. მთლიანი ხარჯი = 171 * 828.65 = 141,700<br><br>ჯამი: 141,700 |

| | |
|---|---|
| წლიური ხარჯი კონდიციონერის შეკეთების | |
| 2.1.4. M 2 კატეგორიის ავტობუსების დაზღვევის ღირებულება:<br>1. დაზღვევის ღირებულება = ავტობუსების სრული რაოდენობა * დაზღვევის ღირებულება ერთ ავტობუსზე<br><br>*შენიშვნა:* დაზღვევის ფასი მოცემულია აშშ დოლარში და გადაყვანილია ლარში კურსით აშშ დოლარი/ლარი - 1 / 3.22 | M 2 კატეგორიის ავტობუსების დაზღვევის ღირებულება:<br>1. დაზღვევის ღირებულება = 171 * 3,574 = 611,154<br><br>ჯამი: <u>611,154</u> |
| 2.1.5. M 2 კატეგორიის ავტობუსების ქონების გადასახადი:<br>1. გადასახადი = (გაწეული კაპიტალური დანახარჯი - პერიოდის ბოლოსთვის აკუმულირებული ცვეთა) * ქონების გადასახადი<br>*შენიშვნა:* კაპიტალური დანახარჯი არის ახალი ავტობუსების შესყიდვებისთვის გაწეული ხარჯი. ღირებულება 1 ავტობუსზე მოცემულია დოლარში | M 2 კატეგორიის ავტობუსების ქონების გადასახადი:<br>1. გადასახადი = (12,461,400 – 1,246,140) * 1% = 112,153<br><br>ჯამი: <u>112,153</u> |

<u>წლიური ნახევრადფიქსირებული ხარჯების მთლიანი ჯამი: 7,233,399</u>
<u>ლოტზე მომუშავე ახალი ავტობუსების დადგენილი რაოდენობა: 131</u>
<u>წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 9,188,547</u>
<u>წლიური ნახევრადფიქსირებული ხარჯი 1 ავტობუსზე: 55,216.79</u>
<u>ნახევრადფიქსირებული განაკვეთი 1 დაგეგმილ კმ-ზე: 0.79</u>

2.2. ცვლადი ხარჯების დათვლა

| დათვლის მეთოდოლოგია | ვალუტა- ლარი |
|---|---|
| 2.1.5. M 2 კატეგორიის ავტობუსების გეგმიური შეკეთების ღირებულება:<br>1. მთლიანი ღირებულება = მთლიანი კილომეტრაჟი * გეგმიური შეკეთების ღირებულება კილომეტრზე | M 2 კატეგორიის ავტობუსების გეგმიური შეკეთების ღირებულება:<br>1. მთლიანი ღირებულება = 9,188,547 * 0.20= 1,861,882 |

| | |
|---|---|
| | ჯამი: 1,861,882 |

**წლიური ცვლადი ხარჯების მთლიანი ჯამი: 1,861,882**

**წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 9,188,547**

**ცვლადი განაკვეთი 1 კმ-ზე: 0.20**

2.3. ფიქსირებული ხარჯების დათვლა

| დათვლის მეთოდოლოგია | ვალუტა ლარი |
|---|---|
| 2.3.1. ფიქსირებული ხელფასის ანაზღაურება:<br>1. ჯამური ხელფასი = პერსონალის ხელფასები<br>2. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | ფიქსირებული ხელფასის ანაზღაურება:<br>1. ჯამური ხელფასი = 1,297,729<br>2. საპენსიო გადარიცხვები = 1,297,729 * 2% = 25,955<br><br>ჯამი: 1,323,684 |
| 2.3.2. ქირის ღირებულება:<br>1. არსებული ქირის ღირებულება = არსებული ქირის წლიური გადასახადები<br>ახალი ქირის ღირებულება:<br>1. საჭირო დამატეთი ქირა = არსებული ქირის ხარჯი / არსებული თანამშრომლების რაოდენობა<br>2. ახალი ქირის ღირებულება = ახალი ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა * საჭირო დამატებითი ქირა<br>ქირის ხარჯი ახალი ავტობუსებისთვის:<br>1. ქირის ღირებულება = საჭირო ქირის ხარჯი ახალ ავტობუსზე<br>*შენიშვნა:* გარაჟის თვიური ხარჯი 5,000 ა.შ.შ დოლარი, აღნიშნული ხარჯის წლიური ღირებულება არის 60,000 ა.შ.შ. დოლარი. | არსებული ქირის ღირებულება:<br>1. არსებული ქირის ღირებულება = 125,307<br><br>ახალი ქირის ღირებულება:<br>1. საჭირო დამატებითი ქირა = 125,307 / 47 = 2,666.10<br>2. ახალი ქირის ღირებულება = 33 * 2,666.10 = 87,981<br><br>ქირის ხარჯი ახალი ავტობუსებისთვის:<br>1. ქირის ღირებულება = 35,233<br><br>ჯამი: 248,522 |
| 2.3.3. არსებული სესხების ხარჯი:<br>1. სესხების ხარჯი = არსებული სესხების ჯამური ხარჯი | არსებული სესხების ხარჯი:<br>1. სესხების ხარჯი = 3,762,078<br><br>ჯამი: 3,762,078 |

| | |
|---|---|
| 2.3.4. პროფესიული მომსახურების ხარჯები:<br>იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია:<br>1. კონსულტაციის მთლიანი ხარჯი = კონსულტაციის თვიური გეგმიური ხარჯი * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>Azri-ს სერვისის საფასური:<br>2. სერვისის მთლიანი ხარჯი = ჯამური ავტობუსების რაოდენობა * სერვისის თვიური ღირებულება ავტობუსზე * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>*შენიშვნა:* კომპანია Azri ახორციელებს ავტობუსების რაოდენობის მონიტორინგს. სერვისის თვიური ღირებულება თითო ავტობუსზე შეადგენს 10.15 ა.შ.შ დოლარს.<br>სხვა სერვისების ღირებულება:<br>3. სერვისის მთლიანი ხარჯი = ხარჯის ისტორიული მონაცემები | იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია:<br>1. კონსულტაციის მთლიანი ხარჯი = 4,970.85 * 12 = 59,650<br><br>Azri-ს სერვისის საფასური:<br>1. სერვისის მთლიანი ხარჯი = 131 * 34.77 * 12 = 54,654<br><br>სხვა სერვისების ღირებულება:<br>2. სერვისის მთლიანი ხარჯი = 62,885<br><br>ჯამი: <u>177,189</u> |
| 2.3.5. კომუნალური მომსახურების ხარჯი:<br>1. კომუნალური ხარჯი თანამშრომელზე = ისტორიული ხარჯი<br>2. კომუნალური ხარჯი = კომუნალური ხარჯი თანამშრომელზე * (არსებული თანამშრომლების რაოდენობა + ახალი ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა) | კომუნალური მომსახურების ხარჯი:<br>1. კომუნალური ხარჯი თანამშრომელზე = 432.99<br>2. კომუნალური ხარჯი = 432.99 * (47+33) = 34,639<br><br>ჯამი: <u>34,639</u> |
| 2.3.6. ტრანსპორტირების ხარჯი:<br>1. ტრანსპორტირების ხარჯი თანამშრომელზე = ისტორიული ხარჯი<br>2. ტრანსპორტირების ხარჯი = ტრანსპორტირების ხარჯი თანამშრომელზე * (არსებული თანამშრომლების რაოდენობა + ახალი | ტრანსპორტირების ხარჯი:<br>1. ტრანსპორტირების ხარჯი თანამშრომელზე = 588<br>2. ტრანსპორტირების ხარჯი = 588 * (47+33) = 47,040<br><br>ჯამი: <u>47,040</u> |

| | |
|---|---|
| ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა) | |
| 2.3.7. მერიის მოსაკრებელი:<br>1. მოსაკრებელი = კომპანიის ფლობაში არსებული ავტობუსები * თვიური მოსაკრებელი * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>*შენიშვნა:* თბილისის მერიის თვიური მოსაკრებელი შეადგენს 15 ლარს. | მერიის მოსაკრებელი:<br>1. მოსაკრებელი = 171 * 15 * 12 = 30,780<br><br>ჯამი: <u>30,780</u> |
| 2.3.8. სხვა ფიქსირებული ხარჯები:<br>1. სხვა ხარჯები = ისტორიული ხარჯი | სხვა ფიქსირებული ხარჯები:<br>1. სხვა ხარჯები = 91,005<br><br>ჯამი: <u>91,005</u> |
| 2.3.9. ფას-ნამატი:<br>1. ფას-ნამატი = პერიოდის მთლიანი ხარჯი * მარჯ-აპი | ფას-ნამატი:<br>1. ფას-ნამატი = 14,810,218 * 15% = 2,221,533<br><br>ჯამი: <u>2,221,533</u> |

<u>**წლიური ფიქსირებული ხარჯის მთლიანი ჯამი: 7,936,470**</u>

<u>**წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 9,188,547**</u>

<u>**ფიქსირებული განაკვეთი 1 დაგეგმილ კმ-ზე: 0.86**</u>

სულ ძირითადი ხარჯი (ცვლადი, ნახევრადფიქსირებული და ფიქსირებული): 17,031,751

წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 9,188,547

ძირითადი საფასური/განაკვეთი 1 კმ-ზე: 1.85

დანართი 3

# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

„N003 ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე" დამატებითი პირობების თაობაზე" 2021 წლის 25 მაისს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით

ქ. თბილისი [თარიღი: ---]

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში - „შეთანხმება") დადებულია „N003 ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე" დამატებითი პირობების თაობაზე" მხარეებს შორის 2021 წლის 25 მაისს გაფორმებული შეთანხმების (შემდგომში - „სანებართვო შეთანხმება") ფარგლებში და მასთან დაკავშირებით, შემდეგ მხარეებს შორის:

(1) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში „ნებართვის გამცემი"), წარმოდგენილი სსიპ - „თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს" მიერ;

(2) სსიპ - „თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო", დაფუძნებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილების საფუძველზე (შემდგომში „სააგენტო");

(3) შპს „თბილ ქარ", საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგიტრირებული კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი: 404393241, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. N4 (შემდგომში „ნებართვის მფლობელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, კახაბერ ჭიპაშვილის მიერ;

*ნებართვის გამცემი, სააგენტო და ნებართვის მფლობელი - ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე".*

## პრეამბულა

ვინაიდან, 2021 წლის 25 მაისს ნებართვის გამცემს, სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვის მფლობელს შორის გაფორმდა შეთანხმება ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე" დამატებითი პირობების თაობაზე. აღნიშნულის ფარგლებში სანებართვო პირობების დარღვევის გამო, სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ნებართვების მფლობელის მიმართ შედგენილ იქნა საჯარიმო ქვითრები - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და განხორციელდა შეთანხმებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვა ჯამში 221 600 (ორასოცდაერთიათას ექვსასი) ლარის ოდენობით. შედგენილი საჯარიმო ქვითრების

ნაწილი გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში, კერძოდ: ნებართვის მლობელის მიერ გასაჩივრებულია 35 საჯარიმო ქვითარი (სულ 9900 ლარის ოდენობით);

ვინაიდან, ნებართვის მფლობელის მიერ 2023 წლის 30 იანვრის (მერიაში რეგისტრაციის № 22/01230302146-16) და 2023 წლის 14 ივლისის (მერიაში რეგისტრაციის №22/01231951666-16) წერილებით წარმოდგენილია შპს „დელიოტი და ტუში"-ს (ს/კ: 204422240) მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა მომსახურების ძირითადი საფასურის ხარჯების ელემენტების იდენტიფიკაციის და ინფლაციის მიზნობრივი და ფაქტობრივი მაჩვენებლის სხვაობით ინდექსაციის შესახებ;

ვინაიდან, 2024 წლის 18 ივნისს, ნებართვის გამცემს და სააგენტოს მიმართა ნებართვის მფლობელმა N24/06/18-03 წერილით (მერიაში რეგისტრაციის N10/01241701202-16) და აღნიშნა, რომ გამოთქვამს მზაობას და იღებს ვალდებულებას, რომ პირგასამტეხლოს 221 600 (ორასოცდაერთიათას ექვსასი) ლარის ანულირების სანაცვლოდ, უარი თქვას 2023 წლის 30 იანვრის და 2023 წლის 14 ივლისის წერილებით წარმოდგენილი დასკვნით გათვალისწინებული მომსახურების ძირითადი საფასურის, 2023 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 01 იანვრამდე პერიოდში, ზრდით მისაღები 589 588,96 (ხუთასოთხმოცდაცხრაათას ხუთასოთხმოცდარვა ლარი და ოთხმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარის უფლებაზე. ასევე, ნებართვის მფლობელი მზად არის თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოიხმოს საჩივარი საქმეზე N4/2713-23, ხოლო დაკისრებული ჯარიმები გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [--------------------------------------------------------------------] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [-------------------------------------------------] განკარგულებების საფუძველზე, მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. წინამდებარე შეთანხმება დადებულია სანებართვო შეთანხმების ფარგლებში და მასთან დაკავშირებით, და წარმოადგენს სანებართვო შეთანხმებისა და სანებართვო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიმარტება მათთან ერთად. მხარეები თანხმდებიან, რომ სანებართვო შეთანხმებას, სანებართვო ხელშეკრულებასა და წინამდებარე შეთანხმებას შორის ნებისმიერი სახის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ამ შეთანხმების პირობებს.
2. ამ შეთანხმებაში (მათ შორის, პრეამბულაში) გამოყენებულ ტერმინებს, გარდა ამავე შეთანხმებით განმარტებული ტერმინებისა, აქვთ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებითა და სანებართვო შეთანხმებით მინიჭებული მნიშვნელობა.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ სანებართვო შეთანხმების 6.13.1 პუნქტის საფუძველზე და შპს „დელიოტი და ტუში"-ს (ს/კ: 204422240) აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, კილომეტრზე ფასის განაკვეთი, ნაცვლად სანებართვო ხელშეკრულებით დადგენილი 1.80 ლარისა (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი), 2024 წლის 1 იანვრიდან განისაზღვრება 1.87 ლარით (ერთი ლარი და ოთხმოცდაშვიდი თეთრი).
4. მხარეები თანხმდებიან, რომ შეიცვალოს სანებართვო ხელშეკრულების დანართი N2 - *„კილომეტრზე ფასის განაკვეთი, დათვლის პრინციპები და მეთოდოლოგია"* და ჩამოყალიბდეს ამ შეთანხმების დანართის სახით.
5. ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, სანებართვო შეთანხმების დადებიდან 2024 წლის 1 იანვრამდე სრულ პერიოდზე კილომეტრზე ფასის განაკვეთი რჩება უცვლელი და შეადგენს 1.80 ლარს (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი). ამ შეთანხმებაზე ხელმოწერით, ნებართვის მფლობელი უარს ამბობს სანებართვო ხელშეკრულების 6.14.3 პუნქტით განსაზღვრულ უფლებაზე, რომელიც წარმოიშობა 6.13.1 პუნქტის შემთხვევაში მოითხოვოს სააგენტოს მიერ გადასახდელი ძირითადი საფასურის გადაანგარიშება, 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის იანვრამდე პერიოდზე, კილომეტრზე ფასის ახალი განაკვეთის გათვალისწინებით და დააკისროს სააგენტოს ხსენებული პერიოდისთვის დაანგარიშებული სხვაობის გადახდა.
6. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადასტურებს, რომ 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდში არ დამდგარა სანებართვო შეთანხმების 6.13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, ასევე, სანებართვო შეთანხმების ძალაში შესვლიდან ამ შეთანხმების ხელმოწერამდე პერიოდისათვის არ დამდგარა შეთანხმების 6.13.2-.6.13.3 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა და ჩამოთვლილი ან სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, სანებართვო შეთანხმების 6.14.3 პუნქტით განსაზღვრული კილომეტრზე ფასის ახალი განაკვეთის გაზრდის მოთხოვნის საფუძველი.
7. მხარეები თანხმდებიან, რომ არაუგვიანეს 2024 წლის 15 დეკემბრისა, ნებართვის გამცემი ნებართვის მფლობელს, სანებართვო შეთანხმებით გათვალისწინებული უნაღდო ანგარიშსწორების გზით, გადაუხდის შემდეგ თანხებს:
7.1. 2024 წლის 1 იანვრიდან ამ შეთანხმების ხელმოწერის თარიღის წინა საანგარიშო თვის პერიოდზე ამ შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაზრდით გამოწვეული მომსახურების საფასურის სხვაობას ჯამში *[მიეთითება შეთანხმების ხელმოწერის მომენტისთვის გადასახდელი სხვაობის ოდენობა]* ლარის ოდენობით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, შეთანხმების ხელმოწერის თარიღის საანგარიშო თვიდან შემდგომ პერიოდზე გადასახდელ მომსახურების საფასურს ნებართვის მფლობელი ნებართვის გამცემს გადაუხდის ყოველთვიურად (ყოველ მომდევნო თვეს), სანებართვო შეთანხმებით გათვალისწინებული წესითა და ვადაში;
7.2. ამ შეთანხმების ხელმოწერამდე პერიოდზე დაკავებულ მომსახურების საფასურს ჯამში 176 850 (ას სამოცდათექვსმეტი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადატურებს, რომ აღნიშნული თანხის დაკავებასთან დაკავშირებით ნებართვის გამცემის მიმართ მას არ წარმოეშობა (უარს ამბობს) რაიმე მოთხოვნის ან/და პირგასამტეხლოს დაკისრების უფლება.
8. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ შეთანხმების მე-5 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნის უფლებაზე ნებართვის მფლობელის მიერ უარის თქმის სანაცვლოდ და ასევე, ამ შეთანხმების მე-9-მე-10 პუნქტებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით, ნებართვის გამცემი/სააგენტო უარს ამბობს

05.04.2023 წლის N16-01230951104, 05.04.2023 წლის N16-01230951111, 12.06.2023 წლის N16-0123163927, 23.06.2023 წლის N16-0123174898, 29.06.2023 წლის N16-0123180733, 23.08.2023 წლის N16-0123235911, 04.09.2023 წლის N16-01232473686, 09.10.2023 წლის N16-01232823007, 09.10.2023 წლის N16-01232823536, 12.10.2023 წლის N16-01232851505, 16.10.2023 წლის N16-01232891809, 01.12.2023 წლის N16-01233351990, 08.01.2024 წლის N16-01240081049, 29.01.2024 წლის N16-01240291964, 29.01.2024 წლის N16-01240291955, 31.01.2024 წლის N16-01240313077, 31.01.2024 წლის N16-01240313090, 05.02.2024 წლის N16-01240361981, 15.02.2024 წლის N16-01240463145, 22.02.2024 წლის N16-0124053667, 01.03.2024 წლის N16-01240613739, 06.03.2024 წლის N16-01240663095, 04.04.2024 წლის N16-01240951306, 04.04.2024 წლის N16-01240951290, 08.04.2024 წლის N16-01240994535, 08.04.2024 წლის N16-01240994513, 08.04.2024 წლის N16-01240994508, 24.04.2024 წლის N16-01241151058, 26.04.2024 წლის N16-01241172685, 13.05.2024 წლის N16-01241341219 წერილებით სანებართვო შეთანხმების 9.3.3-9.3.4 პუნქტების საფუძველზე ნებართვის მფლობელისთვის დაკისრებული და გადაუხდელი პირგასამტეხლოს (ჯამში 221 600 (ორასოცდაერთიათას ექვსასი) ლარის ოდენობით) მოთხოვნის უფლებაზე.

9. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადასტურებს, რომ იგი თანახმაა, ამ შეთანხმების მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირობის გათვალისწინებით, კანონით დადგენილ ვადაში გადაიხადოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით დარიცხული ჯარიმები ჯამში 9900 (ცხრათას ცხრაასი) ლარის (35 საჯარიმო ქვითარი) ოდენობით. ნებართვის მფლობელი წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით უარს ამბობს, მას არ აქვს და არ წარმოეშობა აღნიშნულიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის უფლება, მათ შორის, ნებისმიერი სახის ზიანის, ზარალისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

10. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადასტურებს, რომ წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, ამ შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, იგი მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს საჩივარზე (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე N4/2713-23) უარის თქმის საფუძვლით საქმისწარმოების შეწყვეტის შუამდგომლობით და მას არ აქვს უფლება, ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, რის შესახებ უნდა აცნობოს სააგენტოს.

11. იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელი არ შეასრულებს წინამდებარე შეთანხმების მე-10 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას ამავე პუნქტით დადგენილ ვადაში, შეთანხმება ავტომატურად შეწყდება და მის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები დაკარგავს იურიდიულ ძალას.

12. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ნებისმიერი მხარის უარი ნებისმიერ უფლებაზე შეეხება მხოლოდ და უშუალოდ იმ გარემოებებს, რომლებზეც იგი გაიცა, და არ შეუშლის ხელს მხარეს, რომელმაც განაცხადა უარი უფლებაზე, შემდგომ დაეყრდნოს იმ დებულებას, რომელზეც უარი განაცხადა.

13. წინამდებარე შეთანხმება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, გადაწყდება სანებართვო ხელშეკრულებით დადგენილი დავების მოგვარების წესის შესაბამისად.

14. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს სანებართვო შეთანხმების მოქმედების ვადით.

15. წინამდებარე შეთანხმება ხელმოწერილია ნოტარიული წესით. იგი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

ხელმოწერები:
[-]

*დანართი*

## დანართი N2 - კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის პრინციპები და მეთოდოლოგია

აღნიშნულ დანართში მოცემულია ძირითად საფასურში შემავალი ხარჯების ოდენობები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშება. კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებული ხარჯების ოდენობები არის შეთანხმებული და არ ექვემდებარება ცვლილება/გადახედვას, გარდა შეთანხმების 6.13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისა, რომლის დროსაც გამოყენებული იქნება შემდეგი პრინციპები:

1. შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13.1 პუნქტის დადგომის შემთხვევაში, განხორციელდება კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის მიზნებისათვის გამოყენებული ხარჯების გაზრდა იმ ოდენობის პროცენტული პუნქტით, რა ოდენობითაც კონკრეტული წლისთვის საქართველოში დაფიქსირებული ფაქტობრივი ინფლაციის მაჩვენებელი გადააჭარბებს ამ წლისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილ წლიურ ინფლაციის მაჩვენებელს.
2. შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13.2 პუნქტის დადგომის შემთხვევაში, კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებული იქნება სააგენტოს მიერ შეცვლილი ყოველწლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი და მომსახურების განხორციელებისათვის აუცილებელი *„ლოტზე მომუშავე ახალი ავტობუსების დადგენილი ახალი რაოდენობა“*, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო ხარჯების ოდენობების ცვლილება განხორციელდება მხოლოდ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

2.1. თუ ხარჯი/ხარჯის ნაწილი არის დენომინირებული უცხოურ ვალუტაში ის გამრავლდება (1 + აღნიშნული ვალუტის მოსალოდნელი ინფლაცია) და შემდგომში გამრავლდება ბოლო 12 თვის საშუალო კურსზე.

2.2. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ყველა ხარჯი/ხარჯის ნაწილი გამრავლდება (1 + მიზნობრივი ინფლაცია).

3. შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13.3 პუნქტის დადგომის შემთხვევაში, კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშების მიზნებისათვის, ნებართვის გამცემის ან სააგენტოს მიერ ნებართვის მფლობელისათვის რაიმე ახალი/დამატებითი სანებართვო პირობის/ვალდებულების დაწესების ან/და ნებართვის გამცემის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ აღნიშნული წარმოშობს ნებართვის მფლობელის მიერ ისეთი ახალი/დამატებითი ხარჯის გაწევის აუცილებლობას, რომელიც არ არის გათვალისწინებული დანართი N2-ით განსაზღვრულ კილომეტრზე ფასის განაკვეთის დადგენის მეთოდოლოგიაში, ასეთი ხარჯები უნდა აისახოს დანართი N2-ის შესაბამისი ხარჯის ან დამატებით კატეგორია(ებ)ში და ამის გათვალისწინებით განხორციელდეს კილომეტრზე ფასის განაკვეთის ან/და სხვა მონაცემების (საჭიროების შემთხვევაში) გადათვლა.

<u>ჯამური ძირითადი საფასურის გაანგარიშებისა და კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის მიზნებისათვის მეთოდოლოგიაში გამოყენებული დაშვებები და პრინციპები, რომელიც არ ექვემდებარება ცვლილებას, ზემოთ მოცემული პრინციპების დაცვით შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13 პუნქტის საფუძველზე კილომეტრზე ფასის განაკვეთის გადახედვამდე:</u>

- *„ყოველწლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი“* - ლოტი N3 -ისათვის დადგენილ მარშრუტებზე ავტობუსების მთლიანი დაგეგმილი გარბენი წლის განმავლობაში, რომელიც მოცემულია დანართ N1-ში და ტოლია 8,542,596 კმ-ის
- *„ლოტზე მომუშავე ახალი ავტობუსების დადგენილი რაოდენობა“*, რომელიც ამ შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის ლოტი N3 -ისათვის დადგენილია 126 ცალის ოდენობით;
- სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში ნაგულისხმებია 261 დღე, სამუშაო დღის ხანგრძლივობა შეადგენს 8 საათს.
- გამოყენებულია გაცვლითი კურსები: აშშ დოლარი/ლარი - 1 / 3.22; ევრო/ლარი - 1 / 3.8

<u>კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის მეთოდოლოგია</u>

1. შემავალი ხარჯების გაანგარიშების სტრუქტურა:

1.1. ნახევრადფიქსირებული ხარჯები:
* ცვლადი ხელფასის ხარჯი
* დეზინფექციის ხარჯი და დეზინფექციის ანაზღაურება
* კონდიციონერების ხარჯი
* M 2 კატეგორიის ავტობუსების ავტობუსის დაზღვევის ხარჯი
* M 2 კატეგორიის ავტობუსების ქონების გადასახადი

1.2. <u>ცვლადი ხარჯები</u>
* M 2 კატეგორიის ავტობუსების შეკეთების/რემონტის ხარჯი

1.3. <u>ფიქსირებული ხარჯები</u>
* ფიქსირებული ხელფასების ხარჯი
* ინფრასტრუქტურის ცვეთის ხარჯი
* ქირის ხარჯი
* არსებული სესხების ხარჯი
* პროფესიული მომსახურების ხარჯი
* ტრანსპორტირების ხარჯი
* კომუნალური ხარჯი
* მერიის მოსაკრებელი
* სხვა ხარჯები
* ფას-ნამატი

2. ხარჯების დათვლის მეთოდოლოგია:

*2.1. ნახევრადფიქსირებული ხარჯების დათვლა*

| დათვლის მეთოდოლოგია | ვალუტა - ლარი |
|---|---|
| **2.1.1. ცვლადი ხელფასის ხარჯი:**<br>M 2 კატეგორიის ავტობუსების მძღოლების ანაზღაურება:<br>1. მძღოლების რაოდენობა = ერთ ავტობუსზე დღეში გათვალისწინებული მძღოლების რაოდენობა (სმენის რაოდენობა) * აქტიური ავტობუსების რაოდენობა<br>**2.** მძღოლის წლიური ხელფასი = მძღოლის საათობრივი ანაზღაურება * სამუშაო დღე წელიწადში * სტანდარტული სამუშაო საათები დღეში (ერთი სმენა)<br>**3.** ჯამური ხელფასი = მძღოლების რაოდენობა * მძღოლის წლიური ანაზღაურება<br>**4.** საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | <br>M 2 კატეგორიის ავტობუსების მძღოლების ანაზღაურება:<br>1. მძღოლების რაოდენობა = 2 * 126 = 252<br>2. მძღოლის წლიური ხელფასი = 11.12 * 261 * 8 = 23,225<br>3. ჯამური ხელფასი = 252 * 23,225= 5,852,785<br>4. საპენსიო გადარიცხვები = 5,852,785* 2% = 117,056<br><br>ჯამი: <u>5,969,841</u> |
| დისპეტჩერის ანაზღაურება:<br>1. დისპეტჩერების რაოდენობა = აქტიური ავტობუსების რაოდენობა / ავტობუსების რაოდენობა თითო დისპეტჩერზე*<br>2. ჯამური ხელფასი = დისპეტჩერის საშუალო თვიური ხელფასი * თვეების რაოდენობა წელიწადში * დისპეტჩერების რაოდენობაზე<br>**3.** საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | დისპეტჩერის ანაზღაურება:<br>1. დისპეტჩერების რაოდენობა = 126 / 14 = 9<br>2. ჯამური ხელფასი = 1,122.38 * 12 * 9 = 121,217<br>**3.** საპენსიო გადარიცხვები = 121,217 * 2% = 2,424<br><br>ჯამი: <u>123,641</u> |
| ბუღალტრების ანაზღაურება:<br>1. ბუღალტრების რაოდენობა = ახალი თანამშრომლების რაოდენობა / თანამშრომლების რაოდენობა, რომელსაც ემსახურება ერთი ბუღალტერი<br>2. შემოწმების სპეციალისტის რაოდენობა = არსებული სადგურების | ბუღალტრების ანაზღაურება:<br>1. ბუღალტრების რაოდენობა = 309 / 295 = 1<br>2. შემოწმების სპეციალისტის რაოდენობა = 0<br>3. ჯამური ხელფასი = (1 * 1,550.57 + 0 * 1,279.77) * 12 = 18,607 |

| | |
|---|---|
| რაოდენობა * თანამშრომლების რაოდენობა ერთ სადგურზე<br>3. ჯამური ხელფასი = თანამშრომლების საშუალო თვიური ხელფასი * ბუღალტრების და სპეციალისტების რაოდენობა * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>4. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | 4. საპენსიო გადარიცხვები = 18,607* 2% = 372<br><br>ჯამი: 18,979<br>სულ ცვლადი ხელფასის ხარჯის ჯამი: 6,112,461 |
| 2.1.2. დეზინფექციის ხარჯები:<br>1. დეზინფექციის ხსნარის საჭირო რაოდენობა = აქტიური ავტობუსების რაოდენობა * ხსნარის გამოყენების დღიური ნორმა * დღეების რაოდენობა წელიწადში<br>2. კონცენტრატის საჭირო რაოდენობა = დეზინფექციის ხსნარის რაოდენობა / მისაღები ხსნარის რაოდენობა ერთ კონცენტრატისგან<br>3. მთლიანი ხარჯი = კონცენტრატის საჭირო რაოდენობა * კონცენტრატის ფასი<br>დეზინფექციის ანაზღაურება:<br>1. თანამშრომლების რაოდენობა = აქტიური ავტობუსების რაოდენობა / ავტობუსების რაოდენობა, რომელსაც ემსახურება ერთი თანამშრომელი<br>2. ჯამური ხელფასი = თანამშრომლების საშუალო თვიური ხელფასი * თვეების რაოდენობა წელიწადში * თანამშრომლების რაოდენობა<br>3. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | დეზინფექციის ხარჯები:<br>1. დეზინფექციის ხსნარის საჭირო რაოდენობა = 126 * 0.25 * 365 = 11,498<br>2. კონცენტრატის საჭირო რაოდენობა = 11,498/ 250 = 46<br>3. მთლიანი ხარჯი = 46* 106,65 = 4,905<br><br>ჯამი: 4,905<br><br>დეზინფექციის ანაზღაურება:<br>1. თანამშრომლების რაოდენობა = 126 / 100 = 1<br>2. ჯამური ხელფასი = 1,123.98 * 12 * 1 = 13,488<br>3. საპენსიო გადარიცხვები = 13,488* 2% = 270<br><br>ჯამი: 13,758<br><br>სულ დეზინფექციის ხარჯის ჯამი: 18,663 |
| 2.1.3. კონდიციონერების ხარჯები:<br>1. საშუალო წლიური ხარჯი კონდიციონერის შეკეთებისთვის = მთლიანი ხარჯი პერიოდისთვის / ძველი ავტობუსების საშუალო რაოდენობა პერიოდისთვის | კონდიციონერების ხარჯები:<br>1. საშუალო წლიური ხარჯი კონდიციონერის შეკეთებისთვის = 828.65<br>2. მთლიანი ხარჯი = 159* 828.65 = 131,756 |

| | |
|---|---|
| 2. მთლიანი ხარჯი = ავტობუსების სრული რაოდენობა * საშუალო წლიური ხარჯი კონდიციონერის შეკეთების | ჯამი: <u>131,756</u> |
| 2.1.4. M 2 კატეგორიის ავტობუსების დაზღვევის ღირებულება:<br>1. დაზღვევის ღირებულება = ავტობუსების სრული რაოდენობა * დაზღვევის ღირებულება ერთ ავტობუსზე<br><br>*შენიშვნა:* დაზღვევის ფასი მოცემულია აშშ დოლარში და გადაყვანილია ლარში კურსით აშშ დოლარი/ლარი - 1 / 3.22 | M 2 კატეგორიის ავტობუსების დაზღვევის ღირებულება:<br>1. დაზღვევის ღირებულება = 159* 3,574 = 568,266<br><br>ჯამი: <u>568,266</u> |
| 2.1.5. M 2 კატეგორიის ავტობუსების ქონების გადასახადი:<br>1. გადასახადი = (გაწეული კაპიტალური დანახარჯი - პერიოდის ბოლოსთვის აკუმულირებული ცვეთა) * ქონების გადასახადი<br>*შენიშვნა:* კაპიტალური დანახარჯი არის ახალი ავტობუსების შესყიდვებისთვის გაწეული ხარჯი. ღირებულება 1 ავტობუსზე მოცემულია დოლარში | M 2 კატეგორიის ავტობუსების ქონების გადასახადი:<br>1. გადასახადი = (11,109,000 – 1,110,900) * 1% = 99,981<br><br>ჯამი: <u>99,981</u> |

<u>წლიური ნახევრადფიქსირებული ხარჯების მთლიანი ჯამი: 6,931,126</u>
<u>ლოტზე მომუშავე ახალი ავტობუსების დადგენილი რაოდენობა: 126</u>
<u>წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 8,542,596</u>
<u>წლიური ნახევრადფიქსირებული ხარჯი 1 ავტობუსზე: 55,008.94</u>
<u>ნახევრადფიქსირებული განაკვეთი 1 დაგეგმილ კმ-ზე: 0.81</u>

2.2. ცვლადი ხარჯების დათვლა

| დათვლის მეთოდოლოგია | ვალუტა- ლარი |
|---|---|
| 2.2.1. M 2 კატეგორიის ავტობუსების გეგმიური შეკეთების ღირებულება: | M 2 კატეგორიის ავტობუსების გეგმიური შეკეთების ღირებულება: |

| | |
|---|---|
| 1. მთლიანი ღირებულება = მთლიანი კილომეტრაჟი * გეგმიური შეკეთების ღირებულება კილომეტრზე | 1. მთლიანი ღირებულება = 8,542,596 * 0.20 = 1,730,992<br><br>ჯამი: <u>1,730,992</u> |

<u>წლიური ცვლადი ხარჯების მთლიანი ჯამი: 1,730,992</u>
<u>წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 8,542,596</u>
<u>ცვლადი განაკვეთი 1 კმ-ზე: 0.20</u>

## 2.3. ფიქსირებული ხარჯების დათვლა

| დათვლის მეთოდოლოგია | ვალუტა ლარი |
|---|---|
| 2.3.1. ფიქსირებული ხელფასის ანაზღაურება:<br>1. ჯამური ხელფასი = პერსონალის ხელფასები<br>2. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი<br><br>*შენიშვნა:* დაზღვევის ფასი მოცემულია აშშ დოლარში და გადაყვანილია ლარში კურსით აშშ დოლარი/ლარი - 1 / 3.22 | ფიქსირებული ხელფასის ანაზღაურება:<br>1. ჯამური ხელფასი = 1,185,290<br>2. საპენსიო გადარიცხვები = 1,185,290* 2% = 23,706<br><br>ჯამი: <u>1,208,996</u> |
| 2.3.2. ქირის ღირებულება:<br>1. არსებული ქირის ღირებულება = არსებული ქირის წლიური გადასახადები<br>ახალი ქირის ღირებულება:<br>1. საჭირო დამატეთი ქირა = არსებული ქირის ხარჯი / არსებული თანამშრომლების რაოდენობა<br>2. ახალი ქირის ღირებულება = ახალი ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა * საჭირო დამატებითი ქირა<br>ქირის ხარჯი ახალი ავტობუსებისთვის:<br>1. ქირის ღირებულება = საჭირო ქირის ხარჯი ახალ ავტობუსზე<br>*შენიშვნა:* გარაჟის თვიური ხარჯი 5,000 ა.შ.შ დოლარი, აღნიშნული ხარჯის წლიური ღირებულება არის 60,000 ა.შ.შ. დოლარი. | არსებული ქირის ღირებულება:<br>1. არსებული ქირის ღირებულება = 116,498<br><br>ახალი ქირის ღირებულება:<br>1. საჭირო დამატებთი ქირა = 116,498 / 42 = 2,773.76<br>2. ახალი ქირის ღირებულება = 30 * 2,773.76= 83,213<br><br>ქირის ხარჯი ახალი ავტობუსებისთვის:<br>1. ქირის ღირებულება = 32,761<br><br>ჯამი: <u>232,471</u> |

| | |
|---|---|
| | |
| 2.3.3. არსებული სესხების ხარჯი:<br>1. სესხების ხარჯი = არსებული სესხების ჯამური ხარჯი | არსებული სესხების ხარჯი:<br>1. სესხების ხარჯი = 3,497,606<br><br>ჯამი: 3,497,606 |
| 2.3.4. პროფესიული მომსახურების ხარჯები:<br>იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია:<br>1. კონსულტაციის მთლიანი ხარჯი = კონსულტაციის თვიური გეგმიური ხარჯი * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>Azri-ს სერვისის საფასური:<br>2. სერვისის მთლიანი ხარჯი = ჯამური ავტობუსების რაოდენობა * სერვისის თვიური ღირებულება ავტობუსზე * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>*შენიშვნა:* კომპანია Azri ახორციელებს ავტობუსების რაოდენობის მონიტორინგს. სერვისის თვიური ღირებულება თითო ავტობუსზე შეადგენს 10.15 ა.შ.შ დოლარს.<br>სხვა სერვისების ღირებულება:<br>3. სერვისის მთლიანი ხარჯი = ხარჯის ისტორიული მონაცემები | იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია:<br>1. კონსულტაციის მთლიანი ხარჯი = 4,621.05 * 12 = 55,453<br><br>Azri-ს სერვისის საფასური:<br>1. სერვისის მთლიანი ხარჯი = 126 * 34.85 * 12 = 52,697<br><br>სხვა სერვისების ღირებულება:<br>2. სერვისის მთლიანი ხარჯი = 58,463<br><br>ჯამი: 166,613 |
| 2.3.5. კომუნალური მომსახურების ხარჯი:<br>1. კომუნალური ხარჯი თანამშრომელზე = ისტორიული ხარჯი<br>2. კომუნალური ხარჯი = კომუნალური ხარჯი თანამშრომელზე * (არსებული თანამშრომლების რაოდენობა + ახალი ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა) | კომუნალური მომსახურების ხარჯი:<br>1. კომუნალური ხარჯი თანამშრომელზე = 432.99<br>2. კომუნალური ხარჯი = 432.99 * (42+31)= 31,608<br><br>ჯამი: 31,608 |
| 2.3.6. ტრანსპორტირების ხარჯი: | ტრანსპორტირების ხარჯი: |

| | |
|---|---|
| 1. ტრანსპორტირების ხარჯი თანამშრომელზე = ისტორიული ხარჯი<br>2. ტრანსპორტირების ხარჯი = ტრანსპორტირების ხარჯი თანამშრომელზე * (არსებული თანამშრომლების რაოდენობა + ახალი ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა) | 1. ტრანსპორტირების ხარჯი თანამშრომელზე = 588<br>2. ტრანსპორტირების ხარჯი = 588 * (42+31) = 42,924<br><br>ჯამი: <u>42,924</u> |
| 2.3.7. მერიის მოსაკრებელი:<br>1. მოსაკრებელი = კომპანიის ფლობაში არსებული ავტობუსები * თვიური მოსაკრებელი * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>*შენიშვნა:* თბილისის მერიის თვიური მოსაკრებელი შეადგენს 15 ლარს. | მერიის მოსაკრებელი:<br>1. მოსაკრებელი = 159 * 15 * 12 = 28,620<br><br>ჯამი: <u>28,620</u> |
| 2.3.8. სხვა ფიქსირებული ხარჯები:<br>1. სხვა ხარჯები = ისტორიული ხარჯი | სხვა ფიქსირებული ხარჯები:<br>1. სხვა ხარჯები = 84,607<br><br>ჯამი: <u>84,607</u> |
| 2.3.9. ფას-ნამატი:<br>1. ფას-ნამატი = პერიოდის მთლიანი ხარჯი * მარკ-აპი | ფას-ნამატი:<br>1. ფას-ნამატი = 13,955,564 * 15% = 2,093,335<br><br>ჯამი: <u>2,093,335</u> |

<u>წლიური ფიქსირებული ხარჯის მთლიანი ჯამი: 7,386,780</u>
<u>წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 8,542,596</u>
<u>ფიქსირებული განაკვეთი 1 დაგეგმილ კმ-ზე: 0.86</u>

სულ მთლიანი ხარჯი (ცვლადი, ნახევრადფიქსირებული და ფიქსირებული):
16,048,999
წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 8,542,596
მთლიანი საფასური განაკვეთი 1 კმ-ზე: 1.87

დანართი 4

# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

„N005 ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე“ 2021 წლის 25 მაისს გაფორმებულ შეთანხმებასთან დაკავშირებით

ქ. თბილისი [თარიღი: ---]

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში - „შეთანხმება“) დადებულია „N005 ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე“ მხარეებს შორის 2021 წლის 25 მაისს გაფორმებული შეთანხმების (შემდგომში - „სანებართვო შეთანხმება“) ფარგლებში და მასთან დაკავშირებით, შემდეგ მხარეებს შორის:

(1) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში „ნებართვის გამცემი“), წარმოდგენილი სსიპ - „თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ მიერ;

(2) სსიპ - „თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“, დაფუძნებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილების საფუძველზე (შემდგომში „სააგენტო“);

(3) შპს „ფაბლიქ ქარ“, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგიტრირებული კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი: 404392411, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. N4 (შემდგომში „ნებართვის მფლობელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, კახაბერ გოჩიას მიერ;

*ნებართვის გამცემი, სააგენტო და ნებართვის მფლობელი - ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე“.*

## პრეამბულა

ვინაიდან, 2021 წლის 25 მაისს ნებართვის გამცემს, სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვის მფლობელს შორის გაფორმდა შეთანხმება ნებართვასთან დაკავშირებით „ქალაქ თბილისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების შესახებ 2011 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებაზე“ დამატებითი პირობების თაობაზე. აღნიშნულის ფარგლებში სანებართვო პირობების დარღვევის გამო, სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ნებართვების მფლობელის მიმართ შედგენილ იქნა საჯარიმო ქვითრები - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და განხორციელდა შეთანხმებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვა ჯამში 246 500 (ორასორმოცდაექვსიათას ხუთასი) ლარის ოდენობით. შედგენილი საჯარიმო ქვითრების

ნაწილი გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში, კერძოდ: ნებართვის მფლობელის მიერ გასაჩივრებულია 23 საჯარიმო ქვითარი (სულ 6900 ლარის ოდენობით);

ვინაიდან, ნებართვის მფლობელის მიერ 2023 წლის 30 იანვრის (მერიაში რეგისტრაციის № 22/01230302146-16) და 2023 წლის 14 ივლისის (მერიაში რეგისტრაციის №22/01231951666-16) წერილებით წარმოდგენილია შპს „დელიოტი და ტუში"-ს (ს/კ: 204422240) მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა მომსახურების ძირითადი საფასურის ხარჯების ელემენტების იდენტიფიკაციის და ინფლაციის მიზნობრივი და ფაქტობრივი მაჩვენებლის სხვაობით ინდექსაციის შესახებ;

ვინაიდან, 2024 წლის 18 ივნისს, ნებართვის გამცემს და სააგენტოს მიმართა ნებართვის მფლობელმა N24/06/18-01 წერილით (მერიაში რეგისტრაციის N10/01241701177-16) და აღნიშნა, რომ გამოთქვამს მზაობას და იღებს ვალდებულებას, რომ პირგასამტეხლოს 246 500 (ორასორმოცდაექვსიათას ხუთასი) ლარის ანულირების სანაცვლოდ, უარი თქვას 2023 წლის 30 იანვრის და 2023 წლის 14 ივლისის წერილებით წარმოდგენილი დასკვნით გათვალისწინებული მომსახურების ძირითადი საფასურის, 2023 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 01 იანვრამდე პერიოდში, ზრდით მისაღები 1 088 016,28 (ერთიმილიონ ოთხმოცდარვაათას თექვსმეტი ლარი და ოცდარვა თეთრი) ლარის უფლებაზე. ასევე, ნებართვის მფლობელი მზად არის თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოიხმოს საჩივარი საქმეზე N4/2713-23, ხოლო დაკისრებული ჯარიმები გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [-----------------------------------------------------------------------] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [-----------------------------------------------------] განკარგულებების საფუძველზე, მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. წინამდებარე შეთანხმება დადებულია სანებართვო შეთანხმების ფარგლებში და მასთან დაკავშირებით, და წარმოადგენს სანებართვო შეთანხმებისა და სანებართვო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიმარტება მათთან ერთად. მხარეები თანხმდებიან, რომ სანებართვო შეთანხმებას, სანებართვო ხელშეკრულებასა და წინამდებარე შეთანხმებას შორის ნებისმიერი სახის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ამ შეთანხმების პირობებს.
2. ამ შეთანხმებაში (მათ შორის, პრეამბულაში) გამოყენებულ ტერმინებს, გარდა ამავე შეთანხმებით განმარტებული ტერმინებისა, აქვთ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებითა და სანებართვო შეთანხმებით მინიჭებული მნიშვნელობა.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ სანებართვო შეთანხმების 6.13.1 პუნქტის საფუძველზე და შპს „დელიოტი და ტუში"-ს (ს/კ: 204422240) აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, კილომეტრზე ფასის განაკვეთი, ნაცვლად სანებართვო ხელშეკრულებით დადგენილი 1.78 ლარისა (ერთი ლარი და სამოცდათვრამეტი თეთრი), 2024 წლის 1 იანვრიდან განისაზღვრება 1,87 ლარით (ერთი ლარი და ოთხმოცდაშვიდი თეთრი).

4. მხარეები თანხმდებიან, რომ შეიცვალოს სანებართვო ხელშეკრულების დანართი N2 - *„კილომეტრზე ფასის განაკვეთი, დათვლის პრინციპები და მეთოდოლოგია"* და ჩამოყალიბდეს ამ შეთანხმების დანართის სახით.

5. ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, სანებართვო შეთანხმების დადებიდან 2024 წლის 1 იანვრამდე სრულ პერიოდზე კილომეტრზე ფასის განაკვეთი რჩება უცვლელი და შეადგენს 1.78 ლარს (ერთი ლარი და სამოცდათვრამეტი თეთრი). ამ შეთანხმებაზე ხელმოწერით, ნებართვის მფლობელი უარს ამბობს სანებართვო ხელშეკრულების 6.14.3 პუნქტით განსაზღვრულ უფლებაზე, რომელიც წარმოიშობა 6.13.1 პუნქტის შემთხვევაში მოითხოვოს სააგენტოს მიერ გადასახდელი ძირითადი საფასურის გადაანგარიშება, 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის იანვრამდე პერიოდზე, კილომეტრზე ფასის ახალი განაკვეთის გათვალისწინებით და დააკისროს სააგენტოს ხსენებული პერიოდისთვის დაანგარიშებული სხვაობის გადახდა.

6. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადასტურებს, რომ 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდში არ დამდგარა სანებართვო შეთანხმების 6.13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, ასევე, სანებართვო შეთანხმების ძალაში შესვლიდან ამ შეთანხმების ხელმოწერამდე პერიოდისათვის არ დამდგარა შეთანხმების 6.13.2-.6.13.3 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა და ჩამოთვლილი ან სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, სანებართვო შეთანხმების 6.14.3 პუნქტით განსაზღვრული კილომეტრზე ფასის ახალი განაკვეთის გაზრდის მოთხოვნის საფუძველი.

7. მხარეები თანხმდებიან, რომ არაუგვიანეს 2024 წლის 15 დეკემბრისა, ნებართვის გამცემი ნებართვის მფლობელს, სანებართვო შეთანხმებით გათვალისწინებული უნაღდო ანგარიშსწორების გზით, გადაუხდის შემდეგ თანხებს:

7.1. 2024 წლის 1 იანვრიდან ამ შეთანხმების ხელმოწერის თარიღის წინა საანგარიშო თვის პერიოდზე ამ შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაზრდით გამოწვეული მომსახურების საფასურის სხვაობას ჯამში *[მიეთითება შეთანხმების ხელმოწერის მომენტისთვის გადასახდელი სხვაობის ოდენობა]* ლარის ოდენობით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, შეთანხმების ხელმოწერის თარიღის საანგარიშო თვიდან შემდგომ პერიოდზე გადასახდელ მომსახურების საფასურს ნებართვის მფლობელი ნებართვის გამცემს გადაუხდის ყოველთვიურად (ყოველ მომდევნო თვეს), სანებართვო შეთანხმებით გათვალისწინებული წესითა და ვადაში;

7.2. ამ შეთანხმების ხელმოწერამდე პერიოდზე დაკავებულ მომსახურების საფასურს ჯამში 188 500 (ას ოთხმოცდარვა ათას ხუთასი) ლარის ოდენობით. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადატურებს, რომ აღნიშნული თანხის დაკავებასთან დაკავშირებით ნებართვის გამცემის მიმართ მას არ წარმოეშობა (უარს ამბობს) რაიმე მოთხოვნის ან/და პირგასამტეხლოს დაკისრების უფლება.

8. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ შეთანხმების მე-5 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნის უფლებაზე ნებართვის მფლობელის მიერ უარის თქმის სანაცვლოდ და ასევე, ამ შეთანხმების მე-9-მე-10 პუნქტებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით, ნებართვის გამცემი/სააგენტო უარს ამბობს

05.04.2023 წლის N16-01230951100, 05.04.2023 წლის N16-01230951116, 12.06.2023 წლის N16-0123163825, 23.06.2023 წლის N16-0123174893,29.06.2023 წლის N16-0123180738, 23.08.2023 წლის N16-0123235905, 04.09.2023 წლის N16-01232473688, 09.10.2023 წლის N16-01232823458, 09.10.2023 წლის N16-01232823524, 12.10.2023 წლის N16-01232851494, 16.10.2023 წლის N16-01232892318, 01.12.2023 წლის N16-01233352122, 08.01.2024 წლის N16-01240081046, 29.01.2024 წლის N16-01240291962, 31.01.2024 წლის N16-01240313101, 31.01.2024 წლის N16-01240313087, 31.01.2024 წლის N16-01240311829, 05.02.2024 წლის N16-01240362541, 15.02.2024 წლის N16-01240463151, 22.02.2024 წლის N16-0124053670, 01.03.2024 წლის N16-01240613735, 04.03.2024 წლის N16-0124064609, 06.03.2024 წლის N16-01240663106, 04.04.2024 წლის N16-01240951310, 04.04.2024 წლის N16-0124095576, 08.04.2024 წლის N16-01240994529, 08.04.2024 წლის N16-01240994514, 12.04.2024 წლის N16-01240994533, 24.04.2024 წლის N16-01241151061, 26.04.2024 წლის N16-01241172170, 13.05.2024 წლის N16-01241341230 წერილებით სანებართვო შეთანხმების 9.3.3-9.3.4 პუნქტების საფუძველზე ნებართვის მფლობელისთვის დაკისრებული და გადაუხდელი პირგასამტეხლოს (ჯამში 246 500 (ორასორმოცდაექვსიათას ხუთასი) ლარის ოდენობით) მოთხოვნის უფლებაზე.

9. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადასტურებს, რომ იგი თანახმაა, ამ შეთანხმების მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირობის გათვალისწინებით, კანონით დადგენილ ვადაში გადაიხადოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით დარიცხული ჯარიმები ჯამში 6900 (ექვსი ათას ცხრაასი) ლარის (23 საჯარიმო ქვითარი) ოდენობით ოდენობით. ნებართვის მფლობელი წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით უარს ამბობს, მას არ აქვს და არ წარმოეშობა აღნიშნულიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის უფლება, მათ შორის, ნებისმიერი სახის ზიანის, ზარალისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

10. ნებართვის მფლობელი აცხადებს და ადასტურებს, რომ წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, ამ შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, იგი მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს საჩივარზე (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე N4/2713-23) უარის თქმის საფუძვლით საქმისწარმოების შეწყვეტის შუამდგომლობით და მას არ აქვს უფლება, ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, რის შესახებ უნდა აცნობოს სააგენტოს.

11. იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელი არ შეასრულებს წინამდებარე შეთანხმების მე-10 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას ამავე პუნქტით დადგენილ ვადაში, შეთანხმება ავტომატურად შეწყდება და მის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები დაკარგავს იურიდიულ ძალას.

12. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ნებისმიერი მხარის უარი ნებისმიერ უფლებაზე შეეხება მხოლოდ და უშუალოდ იმ გარემოებებს, რომლებზეც იგი გაიცა, და არ შეუშლის ხელს მხარეს, რომელმაც განაცხადა უარი უფლებაზე, შემდგომ დაეყრდნოს იმ დებულებას, რომელზეც უარი განაცხადა.

13. წინამდებარე შეთანხმება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, გადაწყდება სანებართვო ხელშეკრულებით დადგენილი დავების მოგვარების წესის შესაბამისად.

14. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს სანებართვო შეთანხმების მოქმედების ვადით.

15. წინამდებარე შეთანხმება ხელმოწერილია ნოტარიული წესით. იგი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

ხელმოწერები:

[-]

*დანართი*

დანართი N2 - კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის პრინციპები და მეთოდოლოგია

აღნიშნულ დანართში მოცემულია ძირითად საფასურში შემავალი ხარჯების ოდენობები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშება. კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებული ხარჯების ოდენობები არის შეთანხმებული და არ ექვემდებარება ცვლილება/გადახედვას, გარდა შეთანხმების 6.13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისა, რომლის დროსაც გამოყენებული იქნება შემდეგი პრინციპები:

1. შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13.1 პუნქტის დადგომის შემთხვევაში, განხორციელდება კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის მიზნებისათვის გამოყენებული ხარჯების გაზრდა იმ ოდენობის პროცენტული პუნქტით, რა ოდენობითაც კონკრეტული წლისთვის საქართველოში დაფიქსირებული ფაქტობრივი ინფლაციის მაჩვენებელი გადააჭარბებს ამ წლისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაგეგმილ წლიურ ინფლაციის მაჩვენებელს.

2. შეთანხმებით გათვალისიწნებული 6.13.2 პუნქტის დადგომის შემთხვევაში, კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებული იქნება სააგენტოს მიერ შეცვლილი ყოველწლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი და მომსახურების განხორციელებისათვის აუცილებელი *„ლოტზე მომუშავე ახალი ავტობუსების დადგენილი ახალი რაოდენობა"*, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო ხარჯების ოდენობების ცვლილება განხორციელდება მხოლოდ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

2.1. თუ ხარჯი/ხარჯის ნაწილი არის დენომინირებული უცხოურ ვალუტაში ის გამრავლდება (1 + აღნიშნული ვალუტის მოსალოდნელი ინფლაცია) და შემდგომში გამრავლდება ბოლო 12 თვის საშუალო კურსზე.

2.2. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ყველა ხარჯი/ხარჯის ნაწილი გამრავლდება (1 + მიზნობრივი ინფლაცია).

3. შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13.3 პუნქტის დადგომის შემთხვევაში, კილომეტრზე ფასის განაკვეთის გაანგარიშების მიზნებისათვის, ნებართვის გამცემის ან სააგენტოს მიერ ნებართვის მფლობელისათვის რაიმე ახალი/დამატებითი სანებართვო პირობის/ვალდებულების დაწესების ან/და ნებართვის გამცემის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ აღნიშნული წარმოშობს ნებართვის მფლობელის მიერ ისეთი ახალი/დამატებითი ხარჯის გაწევის აუცილებლობას, რომელიც არ არის გათვალისწინებული დანართი N2-ით განსაზღვრულ კილომეტრზე ფასის განაკვეთის დადგენის მეთოდოლოგიაში, ასეთი ხარჯები უნდა აისახოს დანართი N2-ის შესაბამისი ხარჯის ან დამატებით კატეგორია(ებ)ში და ამის გათვალისწინებით განხორციელდეს კილომეტრზე ფასის განაკვეთის ან/და სხვა მონაცემების (საჭიროების შემთხვევაში) გადათვლა.

<u>ჯამური ძირითადი საფასურის გაანგარიშებისა და კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის მიზნებისათვის მეთოდოლოგიაში გამოყენებული დაშვებები და პრინციპები, რომელიც არ ექვემდებარება ცვლილებას, ზემოთ მოცემული პრინციპების დაცვით შეთანხმებით გათვალისწინებული 6.13 პუნქტის საფუძველზე კილომეტრზე ფასის განაკვეთის გადახედვამდე:</u>

- *„ყოველწლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი"* - ლოტი N5 -ისათვის დადგენილ მარშრუტებზე ავტობუსების მთლიანი დაგეგმილი გარბენი წლის განმავლობაში, რომელიც მოცემულია დანართ N1-ში და ტოლია 12,151,463 კმ-ის
- *„ლოტზე მომუშავე ახალი ავტობუსების დადგენილი რაოდენობა"*, რომელიც ამ შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის ლოტი N5 -ისათვის დადგენილია 175 ცალის ოდენობით;
- სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში ნაგულისხმებია 261 დღე, სამუშაო დღის ხანგრძლივობა შეადგენს 8 საათს.
- გამოყენებულია გაცვლითი კურსები: აშშ დოლარი/ლარი - 1 / 3.22; ევრო/ლარი - 1 / 3.8

<u>კილომეტრზე ფასის განაკვეთის დათვლის მეთოდოლოგია</u>

1. შემავალი ხარჯების გაანგარიშების სტრუქტურა:

1.1. ნახევრადფიქსირებული ხარჯები:
* ცვლადი ხელფასის ხარჯი
* დეზინფექციის ხარჯი და დეზინფექციის ანაზღაურება
* კონდიციონერების ხარჯი
* M 2 კატეგორიის ავტობუსების დაზღვევის ხარჯი
* M 2 კატეგორიის ავტობუსების ქონების გადასახადი

1.2. <u>ცვლადი ხარჯები</u>
* ავტობუსის შეკეთების/რემონტის ხარჯი

1.3. <u>ფიქსირებული ხარჯები</u>
* ფიქსირებული ხელფასების ხარჯი
* ინფრასტრუქტურის ცვეთის ხარჯი
* ქირის ხარჯი
* არსებული სესხების ხარჯი
* პროფესიული მომსახურების ხარჯი
* ტრანსპორტირების ხარჯი
* კომუნალური ხარჯი
* მერიის მოსაკრებელი
* სხვა ხარჯები
* ფას-ნამატი

2. ხარჯების დათვლის მეთოდოლოგია:

2.1. [illegible]

| დათვლის მეთოდოლოგია | ვალუტა - ლარი |
|---|---|
| 2.1.1. ცვლადი ხელფასის ხარჯი:<br>M 2 კატეგორიის ავტობუსების მძღოლების ანაზღაურება:<br>1. მძღოლების რაოდენობა = ერთ ავტობუსზე დღეში გათვალისწინებული მძღოლების რაოდენობა (სმენის რაოდენობა) * აქტიური ავტობუსების რაოდენობა<br>2. მძღოლის წლიური ხელფასი = მძღოლის საათობრივი ანაზღაურება * სამუშაო დღე წელიწადში * სტანდარტული სამუშაო საათები დღეში (ერთი სმენა)<br>3. ჯამური ხელფასი = მძღოლების რაოდენობა * მძღოლის წლიური ანაზღაურება<br>4. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | M 2 კატეგორიის ავტობუსების მძღოლების ანაზღაურება:<br>1. მძღოლების რაოდენობა = 2 * 175 = 350<br>2. მძღოლის წლიური ხელფასი = 11.12 * 261 * 8 = 23,225<br>3. ჯამური ხელფასი = 350 * 23,225 = 8,128,869<br>4. საპენსიო გადარიცხვები = 8,128,869 * 2% = 162,577<br><br>ჯამი: 8,291,446 |
| დისპეტჩერის ანაზღაურება:<br>1. დისპეტჩერების რაოდენობა = აქტიური ავტობუსების რაოდენობა / ავტობუსების რაოდენობა თითო დისპეტჩერზე*<br>2. ჯამური ხელფასი = დისპეტჩერის საშუალო თვიური ხელფასი * თვეების რაოდენობა წელიწადში * დისპეტჩერების რაოდენობაზე<br>3. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | დისპეტჩერის ანაზღაურება:<br>1. დისპეტჩერების რაოდენობა = 175 / 14 = 12<br>2. ჯამური ხელფასი = 1,123.98 * 12 * 12 = 161,853<br>3. საპენსიო გადარიცხვები = 161,853 * 2% = 3,237<br><br>ჯამი: 165,091 |
| ბუღალტრების ანაზღაურება:<br>1. ბუღალტრების რაოდენობა = ახალი თანამშრომლების რაოდენობა / თანამშრომლების რაოდენობა, რომელსაც ემსახურება ერთი ბუღალტერი<br>2. შემოწმების სპეციალისტის რაოდენობა = არსებული სადგურების | ბუღალტრების ანაზღაურება:<br>1. ბუღალტრების რაოდენობა = 438 / 295 = 2<br>2. შემოწმების სპეციალისტის რაოდენობა = 4<br>3. ჯამური ხელფასი = (1,493.07 * 2 + 1,366.03 * 4) * 12 = 101,403<br>4. საპენსიო გადარიცხვები = 101,403 * 2% = 2,028 |

| | |
|---|---|
| რაოდენობა * თანამშრომლების რაოდენობა ერთ სადგურზე<br>3. ჯამური ხელფასი = თანამშრომლების საშუალო თვიური ხელფასი * ბუღალტრების და სპეციალისტების რაოდენობა * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>4. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | ჯამი: <u>103,431</u><br><u>სულ ცვლადი ხელფასის ხარჯის ჯამი: 8,559,968</u> |
| 2.1.2. დეზინფექციის ხარჯები:<br>1. დეზინფექციის ხსნარის საჭირო რაოდენობა = აქტიური ავტობუსების რაოდენობა * ხსნარის გამოყენების დღიური ნორმა * დღეების რაოდენობა წელიწადში<br>2. კონცენტრატის საჭირო რაოდენობა = დეზინფექციის ხსნარის რაოდენობა / მისაღები ხსნარის რაოდენობა ერთ კონცენტრატისგან<br>3. მთლიანი ხარჯი = კონცენტრატის საჭირო რაოდენობა * კონცენტრატის ფასი<br>დეზინფექციის ანაზღაურება:<br>1. თანამშრომლების რაოდენობა = აქტიური ავტობუსების რაოდენობა / ავტობუსების რაოდენობა, რომელსაც ემსახურება ერთი თანამშრომელი<br>2. ჯამური ხელფასი = თანამშრომლების საშუალო თვიური ხელფასი * თვეების რაოდენობა წელიწადში * თანამშრომლების რაოდენობა<br>3. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | დეზინფექციის ხარჯები:<br>1. დეზინფექციის ხსნარის საჭირო რაოდენობა = 175 * 0.25 * 365 = 15,969<br>2. კონცენტრატის საჭირო რაოდენობა = 15,969 / 250 = 64<br>3. მთლიანი ხარჯი = 64 * 106.65 = 6,812<br><br>ჯამი: <u>6,812</u><br><br>დეზინფექციის ანაზღაურება:<br>1. თანამშრომლების რაოდენობა = 175 / 100 = 2<br>2. ჯამური ხელფასი = 1,123.98 * 12 * 2 = 26,976<br>3. საპენსიო გადარიცხვები = 26,976 * 2% = 539<br><br>ჯამი: <u>27,515</u><br><u>სულ დეზინფექციის ხარჯის ჯამი: 34,327</u> |
| 2.1.3. კონდიციონერების ხარჯები:<br>1. საშუალო წლიური ხარჯი კონდიციონერის შეკეთებისთვის = მთლიანი ხარჯი პერიოდისთვის / ძველი ავტობუსების საშუალო რაოდენობა პერიოდისთვის<br>2. მთლიანი ხარჯი = ავტობუსების სრული რაოდენობა * საშუალო | კონდიციონერების ხარჯები:<br>1. საშუალო წლიური ხარჯი კონდიციონერის შეკეთებისთვის = 828.65<br>2. მთლიანი ხარჯი = 222* 828.65 = 183.961<br><br>ჯამი: <u>183,961</u> |

| | |
|---|---|
| წლიური ხარჯი კონდიციონერის შეკეთების | |
| 2.1.4. M 2 კატეგორიის ავტობუსების დაზღვევის ღირებულება:<br>1. დაზღვევის ღირებულება = ავტობუსების სრული რაოდენობა * დაზღვევის ღირებულება ერთ ავტობუსზე<br><br>*შენიშვნა:* დაზღვევის ფასი მოცემულია აშშ დოლარში და გადაყვანილია ლარში კურსით აშშ დოლარი/ლარი - 1 / 3.22 | M 2 კატეგორიის ავტობუსების დაზღვევის ღირებულება:<br>1. დაზღვევის ღირებულება = 222 * 3,574 = 793,428<br><br>ჯამი: <u>793,428</u> |
| 2.1.5. M 2 კატეგორიის ავტობუსების ქონების გადასახადი:<br>1. გადასახადი = (გაწეული კაპიტალური დანახარჯი - პერიოდის ბოლოსთვის აკუმულირებული ცვეთა) * ქონების გადასახადი<br>*შენიშვნა:* კაპიტალური დანახარჯი არის ახალი ავტობუსების შესყიდვებისთვის გაწეული ხარჯი. ღირებულება 1 ავტობუსზე მოცემულია დოლარში | M 2 კატეგორიის ავტობუსების ქონების გადასახადი:<br>1. გადასახადი = (15,069,600–1,506,960)* 1% =135,626<br><br>ჯამი: <u>135,626</u> |

<u>წლიური ნახევრადფიქსირებული ხარჯების მთლიანი ჯამი: 9,707,310</u>
<u>ლოტზე მომუშავე ახალი ავტობუსების დადგენილი რაოდენობა: 175</u>
<u>წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 12,151,463</u>
<u>წლიური ნახევრადფიქსირებული ხარჯი 1 ავტობუსზე: 55,470.34</u>
<u>ნახევრადფიქსირებული განაკვეთი 1 დაგეგმილ კმ-ზე: 0.80</u>

2.2. ცვლადი ხარჯების დათვლა

| დათვლის მეთოდოლოგია | ვალუტა- ლარი |
|---|---|
| 2.1.5. M 2 კატეგორიის ავტობუსების გეგმიური შეკეთების ღირებულება:<br>1. მთლიანი ღირებულება = მთლიანი კილომეტრაჟი * გეგმიური შეკეთების ღირებულება კილომეტრზე | M 2 კატეგორიის ავტობუსების გეგმიური შეკეთების ღირებულება:<br>1. მთლიანი ღირებულება = 12,151,463 * 0.20 = 2,462,260<br><br>ჯამი: <u>2,462,260</u> |

| | |
|---|---|

<u>წლიური ცვლადი ხარჯების მთლიანი ჯამი: 2,462,260</u>
<u>წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 12,151,463</u>
<u>ცვლადი განაკვეთი 1 კმ-ზე: 0.20</u>

2.3. ფიქსირებული ხარჯების დათვლა

| დათვლის მეთოდოლოგია | ვალუტა ლარი |
|---|---|
| 2.3.1. ფიქსირებული ხელფასის ანაზღაურება:<br>1. ჯამური ხელფასი = პერსონალის ხელფასები<br>2. საპენსიო გადარიცხვები = ჯამური ხელფასი * საპენსიო შესატანი | ფიქსირებული ხელფასის ანაზღაურება:<br>1. ჯამური ხელფასი = 1,719,836<br>2. საპენსიო გადარიცხვები = 1,719,836 * 2% = 34,397<br><br>ჯამი: 1,754,233 |
| 2.3.2. ქირის ღირებულება:<br>1. არსებული ქირის ღირებულება = არსებული ქირის წლიური გადასახადები<br>ახალი ქირის ღირებულება:<br>1. საჭირო დამატეთი ქირა = არსებული ქირის ხარჯი / არსებული თანამშრომლების რაოდენობა<br>2. ახალი ქირის ღირებულება = ახალი ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა * საჭირო დამატებითი ქირა<br>ქირის ხარჯი ახალი ავტობუსებისთვის:<br>1. ქირის ღირებულება = საჭირო ქირის ხარჯი ახალ ავტობუსზე<br>*შენიშვნა:* გარაჟის თვიური ხარჯი 5,000 ა.შ.შ დოლარი, აღნიშნული ხარჯის წლიური ღირებულება არის 60,000 ა.შ.შ. დოლარი. | არსებული ქირის ღირებულება:<br>1. არსებული ქირის ღირებულება = 165,714<br><br>ახალი ქირის ღირებულება:<br>1. საჭირო დამატებთი ქირა = 165,714/ 62 = 2,672.80<br>2. ახალი ქირის ღირებულება = 43 * 2,673= 114,930<br><br>ქირის ხარჯი ახალი ავტობუსებისთვის:<br>1. ქირის ღირებულება = 45,742<br><br>ჯამი: <u>326,386</u> |
| 2.3.3. არსებული სესხების ხარჯი:<br>1. სესხების ხარჯი = არსებული სესხების ჯამური ხარჯი | არსებული სესხების ხარჯი:<br>1. სესხების ხარჯი = 4,975,188<br><br>ჯამი: <u>4,975,188</u> |

| | |
|---|---|
| 2.3.4. პროფესიული მომსახურების ხარჯები:<br>იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია:<br>1. კონსულტაციის მთლიანი ხარჯი = კონსულტაციის თვიური გეგმიური ხარჯი * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>Azri-ს სერვისის საფასური:<br>2. სერვისის მთლიანი ხარჯი = ჯამური ავტობუსების რაოდენობა * სერვისის თვიური ღირებულება ავტობუსზე * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>*შენიშვნა:* კომპანია Azri ახორციელებს ავტობუსების რაოდენობის მონიტორინგს. სერვისის თვიური ღირებულება თითო ავტობუსზე შეადგენს 10.15 ა.შ.შ დოლარს.<br><br>სხვა სერვისების ღირებულება:<br>3. სერვისის მთლიანი ხარჯი = ხარჯის ისტორიული მონაცემები | იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია:<br>1. კონსულტაციის მთლიანი ხარჯი = 6,573 * 12 = 78,872<br><br>Azri-ს სერვისის საფასური:<br>1. სერვისის მთლიანი ხარჯი = 175 * 34.77 * 12 = 73,011<br><br>სხვა სერვისების ღირებულება:<br>2. სერვისის მთლიანი ხარჯი = 83,162<br><br>ჯამი: <u>235,045</u> |
| 2.3.5. კომუნალური მომსახურების ხარჯი:<br>1. კომუნალური ხარჯი თანამშრომელზე = ისტორიული ხარჯი<br>2. კომუნალური ხარჯი = კომუნალური ხარჯი თანამშრომელზე * (არსებული თანამშრომლების რაოდენობა + ახალი ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა) | კომუნალური მომსახურების ხარჯი:<br>1. კომუნალური ხარჯი თანამშრომელზე = 432.99<br>2. კომუნალური ხარჯი = 432.99 * (62+44) = 45,897<br><br>ჯამი: <u>45,897</u> |
| ▪ ტრანსპორტირების ხარჯი:<br>1. ტრანსპორტირების ხარჯი თანამშრომელზე = ისტორიული ხარჯი<br>2. ტრანსპორტირების ხარჯი = ტრანსპორტირების ხარჯი თანამშრომელზე * (არსებული თანამშრომლების რაოდენობა + ახალი | ტრანსპორტირების ხარჯი:<br>1. ტრანსპორტირების ხარჯი თანამშრომელზე = 588<br>2. ტრანსპორტირების ხარჯი = 588 * (62+44) = 62,328<br><br>ჯამი: <u>62,328</u> |

| | |
|---|---|
| ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა) | |
| i.მერიის მოსაკრებელი:<br>1. მოსაკრებელი = კომპანიის ფლობაში არსებული ავტობუსები * თვიური მოსაკრებელი * თვეების რაოდენობა წელიწადში<br>*შენიშვნა:* თბილისის მერიის თვიური მოსაკრებელი შეადგენს 15 ლარს. | მერიის მოსაკრებელი:<br>1. მოსაკრებელი = 222 * 15 * 12 = 39,960<br><br>ჯამი: <u>39,960</u> |
| i.სხვა ფიქსირებული ხარჯები:<br>1. სხვა ხარჯები = ისტორიული ხარჯი | სხვა ფიქსირებული ხარჯები:<br>1. სხვა ხარჯები = 120,350<br><br>ჯამი: <u>120,350</u> |
| i.ფას-ნამატი:<br>1. ფას-ნამატი = პერიოდის მთლიანი ხარჯი * მარკ-აპი | ფას-ნამატი:<br>1. ფას-ნამატი = 19,728,956* 15% = 2,959,343<br><br>ჯამი: <u>2,959,343</u> |

<u>წლიური ფიქსირებული ხარჯის მთლიანი ჯამი: 10,518,730</u>
<u>წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი: 12,151,463</u>
<u>ფიქსირებული განაკვეთი 1 დაგეგმილ კმ-ზე: 0.87</u>

სულ მთლიანი ხარჯი (ცვლადი, ნახევრადფიქსირებული და ფიქსირებული): 22,688,300
წლიური დაგეგმილი კილომეტრაჟი:12,151,463
მთლიანი ხარჯი/განაკვეთი 1 კმ-ზე: 1.37